



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქდ-  
უდის სიფყვას, ცუდიუბით და ჭბრებით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯანსიბბაჟ უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 30 ივნისი - 1 ივლისი. 2021 წ. №143-144 (9262-9263) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge უსი 1 ლარი

## ისევ დაყოფა, ისევ სიძულვილი, ისევ მავნებლობა!..



### საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლაშვილის დასკვნითი სიტყვა პარლამენტში

ჩვენ ამ დღეების განმავლობაში დეტალურად მიმოვიხილეთ ჩვენს მიერ განხორციელებული საქმეები, მნიშვნელოვანი რეფორმები, კიდევ ერთხელ შევახსენეთ საზოგადოებას, თუ სად ვიყავით, სად ვართ და სად გვინდა, რომ ვიყოთ. მე ასევე დეტალურად წარმოგიდგინეთ, ის ძირითადი პარამეტრები და კონტურები ჩვენი გრძელვადიანი განვითარებისა, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მოიტანს კეთილდღეობას ჩვენი მოსახლეობისთვის, განვითარებას და ჩვენი სამშობლოს გაძლიერებას.

ბუნებრივია, ძალიან ბევრი ცილისწამება მოვისმინე, ძალიან ბევრი ტყუილი, ბევრი მანიპულაცია, ეს გვესმის ძალიან კარგად, ვინაიდან ვიცით, თუ ვისთან გვაქვს საქმე. ბატონმა ირაკლი კობახიძემ ძალიან ისწორი შეფასება გააკეთა, როცა მორიელს შეადარა ის ძალა, რომელმაც ძალიან ბევრი უბედურება მოუტანა ჩვენს ქვეყანას. ჩვენ ყოველთვის, მეგობრებო, უნდა შევახსენოთ პირველ რიგში ჩვენს თავს და ვსაუბრობთ რა ჩვენს ახლო წარსულზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შევედაროთ „ნაცმოძრაობას“ და წარმოვიჩინოთ ჩვენი თავი იმგვარად, თუ როგორი კარგები ვართ, არამედ კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ჩვენს თავს, მოსახლეობას, რომ წარსულში ჩვენ, ყველამ ერთად ძალიან ბევრი შეცდომა დავეშვიტეთ.

არაერთხელ გაჟღერდა ამ დარბაზში 90-იანი წლები. 30 წელს ითვლის ჩვენი ახალგაზრდა დემოკ-

რატია. ძალიან ბევრი ტრაგიკული შეცდომა, ფატალური შეცდომა დავეშვიტეთ ჩვენ, ჩვენმა ხალხმა და იმ ელიტებმა, რომლებიც მართავენ ქვეყანას წლების განმავლობაში. მოდით ვთქვათ, მაშინ რას მივაღწიეთ. 90-იანი წლებში, მას შემდეგ რაც ჩვენ აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, მთელი ერი იყო გაერთიანებული საერთო დიდი მიზნის გარშემო. ეს იყო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დიდი იდეა, რასაც მივაღწიეთ. ამის შემდეგ ჩვენი უზასუხისმგებლო პოლიტიკური ელიტების მიერ, ქვეყანა ჩაება სამოქალაქო ომში, ძმობამკვლელ ომში, დავკარგეთ ტერიტორიები, მივიღეთ ომი აფხაზეთში, სამაჩაბლოში. ჩვენმა გათიშულობამ და ერის გახლეჩამ განაპირობა ის, რაც განაპირობა, რაზეც ახლა ვსაუბრობთ.

რამდენიმე კვირის წინ საქართველოში იმყოფებოდა ლიეტუვის პრეზიდენტი, რომელთანაც მე ძალიან დამწუხრებული ვსაუბრობდი ჩვენს ახლო წარსულზე და მათ შორის, პარალელს ვავლებდით, თუ როგორ გაიარა ბალტიის ქვეყნებმა ეს გზა და როგორ მიაღწიეს ევროკავშირთან ინტეგრაციას, ევროკავშირის წევრობას, ნატოს წევრობას. ამ დროს, ჩვენ გავიხსენეთ, თუ სად ვართ დღეს ჩვენ, საქართველო და რა შეცდომები დავეშვიტეთ, ძალიან დამამახსოვრდა მისი ნათქვამი, რომ მაშინ, ლიეტუველი ხალხი იყო გაერთიანებული, მაშინ არ არსებობდა ფრაგმენტაცია, არ იყო ერი დახლეჩილი. ამ გაერთიანებამ მიაღწია და ლიეტუველ ხალხს შეაძლებინა ის, რომ დღეს ლიეტუვა, ბალტიის ქვეყნები არიან ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნები, არიან ძლიერი სახელმწიფოები და ჩვენ სად ვართ დღეს, მეგობრებო, დღესაც ვართ, სამწუხაროდ, საუბედუროდ იქ, სადაც ვიყავი 90-იანებში, ისევ დაყოფა, ისევ ერთმანეთის სიძულვილი, ისევ ერთმანეთის ცილისწამება და ეს გაუთავებელი კინკლაობა...

ამ დროს რა ხდება ჩვენს რეალობაში. რა თქმა უნდა, მე აქ ოპონენტებისგან სხვა რა უნდა მომესმინა, თუ არა, რაღაც აბსურდული ბრალდებები, თითქოს შინაარსისგან დაცლილი ხედეა წარვადგინეთ, მაშინ, როდესაც დეტალურად ვისაუბრე ყველა მიმართულებაზე. დეტალურად კიდევ ერთხელ შევახსენე ჩვენს თავს, თუ ყველა მიმართულებით რამხელა პროგრესი გვქონდა ბოლო წლებში. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ ვართ უშეცდომონი, პირიქით, ჩვენც ბევრი შეცდომა დავეშვიტეთ, მაგრამ არ დაგვიშვია, არ ჩაგვიდენია დანაშაული! ჩვენ როცა ვესაუბრებით ოპონენტებს და როცა მე ხელს ვიშვერ, ვგულისხმობ დამნაშავე პირებს, წინა ხელისუფლებას, „ნაცმოძრაობის“.

იხ. 3 გვ.

### როინ მებრევილი

## დიდგორის ბრძოლა

„...მომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებო, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმღებართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებო და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელუბნის ცისკენ ავხრობით, ძლიერ ღმერთს აღეთქვა მივცეთ, რომ მისი სიძვარული-სათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხმოცებით და არ გავიძვავით. და რათა არ შეგვიქმლოს გაძევება, კიდევ რომ მოვიხლოთ, ამ ხოლის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი სოროებით შევპარით და მთარს, როცა მოვიახლოვდებო ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდოლად შევუბითო“.

იხ. 6-7 გვ.



## რატომ გვიჩვენებთ თითს „მეგობარი“ დიკლომატები?! 4

დასავლური სივილიზაციის ყველაზე დიდი მტერი თვითონ დასავლეთია!...

### „რობერტ სტურუა მოსკოვს „იპყრობს“...“

## კონსტიტუციაში შარლ მიხელის დოკუმენტის დებულებების ასახვა იგეგმება...

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში დარეგისტრირდა, უზრუნველყოფს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიხელის მიერ 19 აპრილის შეთავაზებულ შეთანხმების „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ დებულებების ასახვას საქართველოს კონსტიტუციაში.

კერძოდ, საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერი მცირდება 2%-მდე, 2024 წლამდე და 2024 წელს ჩატარებული საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგად არჩეულ პარლამენტში ფრაქციის წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება 4 წევრით და მომ-

დგენო ორი მონვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს აირჩევს სრული შემადგენლობის სამი მესუთედის უმრავლესობით.

განმარტების ბარათში დეტალურადაა განმარტებული, თუ კონსტიტუციის რომელი მუხლები

ამასთანავე, ცვლილება შედის კონსტიტუციური კანონის გარდამავალ დებულებების 21 მუხლში, სადაც მე-8 პუნქტი კარგავს ძალას.

კანონპროექტის ავტორები არიან ირაკლი კობახიძე, შალვა პაპუაშვილი, ლევან იოსელიანი და ანრი ოხანაშვილი, ხოლო ინიციატორი – 120-ზე მეტი დეპუტატი.



# ქალი ღებანი: კანონის უზენაესობა და კლიერი სსსპარტლო სისტემა არის წინაპირობა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში წევრობისთვის

პარლამენტს აქვს შესაბამისი ძალა, რომ მოსამართლეების შერჩევის პროცესი შეაჩეროს, - ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგანამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა საერთაშორისო დონორები ეხმარებოდნენ საქართველოს სწორედ ამისთვის, რომ გამოსწორებულიყო სასამართლო სისტემა.



„ეს კეთდება იმის გამო, რომ კანონის უზენაესობა და კლიერი სასამართლო სისტემა არის წინაპირობა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში წევრობისთვის. საქართველოს პოლიტიკური ლიდერები, ასევე, შეთანხმდნენ სასამართლო სისტემის რეფორმირების ამბიციურ გეგმაზე, ფართო, ინკლუზიური, მულტიპარტიული პროცესის გზით. 19 აპრილის შეთანხმება არის ერთგვარი რუკა ამის გასაკეთებლად, მათ შორის, ეს გულისხმობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესის შეჩერებას იქამდე, სანამ არ იქნება მსგავსი ფართო და ინკლუზიური მსჯელობა და კონსულტაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს სასამართლო სისტემა. ამ მიმართულებით შემოიღია მხოლოდ იმედი გამოვთქვა, რომ დედატები, კონსულტაციები სამუშაო ჯგუფებში გაიმართება, რაც შეიძლება სწრაფად ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარმოადგინა მოსამართლეთა კანდიდატურები, ახლა პარლამენტის ხელშია ხელი შეუწყოს პოლიტიკური ლიდერების მიერ 19 აპრილის მიღწეულ შეთანხმებას, რაც ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესის შეჩერებას. პარლამენტს აქვს შესაბამისი ძალა, რომ ეს პროცესი შეაჩეროს“, - განაცხადა კელი დეგანამ.

# აკანონიდან ჯარების გათავისუფლების პროცესში საქართველო ნატოს ქვეყნებს ლოჯისტიკურ მხარდაჭერას უნდა

საქართველოს მნიშვნელოვანი სატრანზიტო შესაძლებლობები კიდევ უფრო ძლიერდება. ნატოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ავღანეთის ისლამური რესპუბლიკიდან ჯარების გამოყვანის პროცესში საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს სტრატეგიულ პარტნიორებთან და მათ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ მხარდაჭერას უწევს, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში თბილისის საერთაშორისო აეროპორტი გერმანიის საჰაერო ტრანსპორტირების ქვედანაყოფისთვის გადმოსროლის ჰაბის როლს ასრულებს.

საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი, ჰუბერტ ქნირში და თავდაცვის ატაშე, ვიცე-პოლკოვნიკი, ლარს უკერვიცი გაეცნენ. მათ საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეს, ბრიგადის გენერალ ჯონი ტატუნაშვილსა და ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდალს, პოლკოვნიკ სერგო ნინუას განუცხადეს მხარდაჭერისა და ლოჯისტიკური პროცედურების მაღალ დონეზე შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს. გერმანელი დიპლომატების განცხადებით, საქართველოს სატრანზიტო მხარდაჭერის მეშვეობით, ჯარების გამოყვანის პროცედურები უფრო ეფექტიანად და სწრაფად ხორციელდება.



# უახლოეს დღეებში მსოფლიოში პაქსინასია დაიწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი უწყებებს დაავალა, უახლოეს დღეებში მსოფლიოში ვაქცინაციის ცენტრები სრულ მზადყოფნაში იყოს ვაქცინაციის შეუფერხებლად წარმართვისთვის, - ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ივლისის პირველ დღეებში, როდესაც ქვეყანა მილიონ დოზა ვაქცინას მიიღებს, უმნიშვნელოვანესია, ვაქცინაცია სწრაფი ტემპით წარიმართოს. აცრის ინფრასტრუქტურის, ამცრელი ბრიგადების რაოდენობისა თუ რეგისტრაციის პროცესის გამართულობის კუთხით ნებისმიერი ხარვეზი დაუშვებელია. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა მსოფლიოში ვაქცინაციის ეფექტური მართვის აუცილებლობას, განსაკუთრებით შეზღუდვების შემსუბუქებას ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით, რათა ქვეყანაში შენარჩუნდეს სტაბილური ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე ასევე განიხილეს ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაცია.

როგორც ცნობილია, უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1 ივლისიდან უქმდება ღამის საათებში გადაადგილებაზე მოქმედი შეზღუდვა; ამის მიუხედავად, 1 ივლისიდან, კვების ობიექტების მუშაობა ნებადართული იქნება 00:00-05:00 საათამდე. კვლავ შეზღუდული რჩება ღამის კლუბების ფუნქციონირება.

ამასთან, ღია სივრცეებში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ არის და მას აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი, ვინაიდან, პირბადე მსოფლიოში ვირუსის გავრცელების პრევენციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად არის აღიარებული. პირბადის ტარება ისევ სავალდებულოა ხალხმრავალი შეკრების ადგილებში, მათ შორის გაჩერებებზე, ბაზრობებზე, ასევე საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და დახურულ სივრცეებში. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე კახა კუჭავას ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.



# ივლისში ერთდროულად ოთხი სახის ვაქცინა გვექნება. ეს ვაქცინებია: „სინოვაკი“, „სინოფარმი“, „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“

ივლისში ერთდროულად ოთხი სახის ვაქცინა გვექნება. ეს ვაქცინებია: „სინოვაკი“, „სინოფარმი“, „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“, - ამის შესახებ საქართველოს თავდაცვათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, „ასტრაზენეკას“ ის დოზა, რაც უნდა მიეღო ქვეყანას და გადაიდო, მალე შემოვა.

„ასტრაზენეკას“ ის დოზები, რაც უნდა შემოსულიყო 22 რიცხვში, ალბათ, მალე შემოვა. ახლა ზუსტ თარიღს არ დავასახელებ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ინფორმაცია მაქვს. მალე იქნება. ასევე მოხდება „ასტრაზენეკას“ შესაბამისი დოზების შემოსვლა ქვეყანაში, - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

# ამ ეტაპზე რუსეთის ფედერაციაში მსენარეული პროდუქტის იმპორტზე განსაკუთრებული შეზღუდვა არ მოქმედებს

- ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

მათივე ინფორმაციით, დღეის მონაცემებით, საქართველოდან შეუფერხებლად ხორციელდება ატმის, ვაშლათმასასა და ლურჯი მოცვის ექსპორტი.

„აქვე აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციაში პესტიციდების გამოყენების რეგლამენტის დაცვისა და პროდუქტის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები გამკაცრდა. ახალი რეგულაცია მოქმედებს როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებულ პროდუქციასთან მიმართებაში.

იმპორტირებული პროდუქტის კონტროლის მიზნით, „როსელეზონაზორი“ უფლებამოსილია, საჭირო-

ების შემთხვევაში, მწარმოებელი ქვეყნიდან პესტიციდების გამოყენების რეგლამენტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და კვლევები გამოითხოვოს“, - ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

# გურიის რეგიონის სახალხო რეკონსტრუქციის პროექტი უკუშაქმ დაიწყო



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა ახლად დაიწყო და ყოფილ გუბერნატორებთან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ევასტატიანე ტიკარაძესა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს ლერი ბარნაბიშვილთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა.

მთავრობის მეთაურმა ახლად დაიწყო გუბერნატორებთან რეგიონში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტები განიხილა, რომლებიც მათ შორის პრემიერის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში იგეგმება.

გიორგი ურუშაძე პროფესიით სამართალმცოდნეა. გურიის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულად დანიშნვამდე იგი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მუშაობდა, ხოლო მანამდე - სხვადასხვა თანამდებობაზე, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

# სანაპირო სოფლებში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა მიმდინარეობს

ბაერთიანებაში



წყალმომარაგების კომპანია რეგიონის მასშტაბით წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მოწყობას განაგრძობს. ამჯერად, კომპანია სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლების: გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგისისა და მიმდებარე უბნების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობას ახორციელებს.

წყალმომარაგების კომპანიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ სოფლებში მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით სარგებლობს, თუმცა მოძველებული და ამორტიზებული ინფრასტრუქტურის გამო ხშირია დაზიანებები, რაც წყალმომარაგების შეზღუდვას განაპირობებს. პროექტის ფარგლებში, ძველი, ამორტიზებული მილები ახლით შეიცვლება, ინდივიდუალურად გამრიცხველიანდება მოსახლეობა.

# მეტრო რუსთაველიდან ღვთისმშობლის ქარავანს, რათა ჩავაშალოთ ბაკჰანილი უღირსების მარში!

ძალადობრივი და ჰომოფობიური ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი გურამ ფალავანდიშვილი ამბობს, რომ 4 ივლისს გეგმავს, რუსთაველის მეტროსთან კარავში გაშალოს და ღირსების მარშს ხელი შეუშალოს. მარში 5 ივლისს არის დაგეგმილი.



„4 ივლისს საღამოდან მეტრო რუსთაველიდან დადგამთ კარავებს, რათა კეთილსინდისიერ საზოგადოებებსთან ერთად 5 ივლისს ხელი შევუშალოთ, არ ჩავატარებინოთ, ჩავაშალოთ გარყვნილი უღირსების მარში“, - წერია გურამ ფალავანდიშვილის ორგანიზაციის, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების ფეისბუქ გვერდზე. მანამდე, 30 ივნისს, ჰომოფობია ჯგუფი აქციას გამართავს ევროკავშირის წარმომადგენლობასა და აშშ-ის საელჩოსთან. როგორც ამბობენ, ისინი გააპროტესტებენ „მათ მიერ საქართველოში ჰომოექსპლუატაციის პროპაგანდის ხელშეწყობას და დამკვიდრებას“. „ღირსების მარში სოლიდარობისთვის“ - ამ სლოგანით 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე ლგბტ აქტივისტები და სხვა მხარდამჭერები შეიკრიბებიან...



(პირველი გვერდიდან)

რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად გვახსოვს, უნდა გვახსოვდეს, უნდა ახსოვდეს ჩვენს ამომრჩევლებს და მოსახლეობას, რომ შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. ჩვენ აღარ გვაქვს შეცდომების გამეორების უფლება!

არაერთხელ ვახსენებთ აქ 2008 წლის აგვისტოს ომი. მე მესმის, რომ ეს მათთვის არის ძალიან მძიმე ტრავმა, მაგრამ, მეგობრებო, ეს თქვენი მძიმე შემთხვევაა. თქვენ დაგვაკარგინეთ ტერიტორიების 20 პროცენტი. „ნაცმოძრაობამ“, სააკაშვილის მთავრობამ შემოაბრუნა რუსული ჯარი, რითაც მათ დააკანონეს ქვეყნის ოკუპაცია.

ჩვენ უნდა შევასხენოთ კიდევ ერთხელ ჩვენს თავს, რომ წლების განმავლობაში, წინა ხელისუფლების დროს, ხდებოდა ჩვენი მოქალაქეების მუდმივი ჩაგვრა, ტერორი, წამება, არაადამიანური მოპყრობა ციხეებში, თუ ციხის გარეთ, გაუპატიურება და ა.შ. უმძიმესი შემთხვევები გვერგო ჩვენ, „ქართული ოცნებას“. აღარაფერს ვამბობ არც ადამიანის უფლებებზე, არც მედიის თავისუფლებაზე, რაზეც ბატონმა არჩილ თალაკვაძემ ისაუბრა, რაც მათ აღარ აინტერესებთ.

სასამართლოს დამოუკიდებლობაზე გვესაუბრებიან ჩვენ, იმ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, რომელიც 2012 წლამდე იყო პროკურატურის უბრალო დანაყოფი. რასაც ეტყობა და პროკურორი, იმას გააკეთებდა მოსამართლე. დღეს ეს ადამიანები გამოდიან და გვეუბნებიან ჩვენ – რატომ რჩებიან დღესაც სასამართლოში ბატონი მურუსიძე და სხვები, რამდენიმე გვარი აქვთ დაზუსტიებული. ბატონებო, უკაცრავად, თქვენ მოგმართავთ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებო! – თქვენ რატომ რჩებით პოლიტიკაში დღეს, ამ მძიმე წარსულის შემოქმედები?!

აქ ძალიან ბევრი ისაუბრეს... ბატონი რომან გოციონიძე გამოვიდა ტრანსპარენტული სიტყვებით – სიმართლე, სიმართლე... და გვესაუბრა მხოლოდ სიყალბე, სიყალბე, სიყალბე. ბატონი რომან გოციონიძე, რომელიც არის კუპონის ფუძემდებელი ქვეყანაში. ხომ გახსოვთ კარგად კუპონი და კუპონიზაცია?! ეს კაცები დღეს გველაპარაკება ჩვენ! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვეუბნება, რომ სოფლის მეურნეობაში „ნაც-მოძრაობას“ ჰქონდა უფრო მეტი პროგრესი, ვიდრე ჩვენს მთავრობას. ამაზე მეტი სიტყვა რა შეიძლება მოვისმინოთ თქვენგან, ბატონო რომან?!

სიღარიბის მაჩვენებელი 2012 წლამდე 37-38% იყო, ახლა არის 19-21%, რაც, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელი არ არის. სწორედ ჩვენი ხედვის, ჩვენი გეგმების მიხედვით, ჩვენ უნდა მივალნოთ იმას, რომ სიღარიბის მაჩვენებელი უახლოესი წლების განმავლობაში მინიმუმ გავანახევროთ. უმუშევრობა 2012 წელს იყო 26,7%, ახლა გვაქვს 21% და რა თქმა უნდა, ესეც უნდა გავანახევროთ უახლოეს წლებში და ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

არ შემიძლია, უბასუხოდ დავტოვო ბატონი მამუკა ხაზარაძის გამოსვლა. როდესაც ბატონი ხაზარაძე საუბრობს ბატონ ივანიშვილზე, შედარებისთვის, ფაქტებით მინდა მივმართო მას და ძალიან საშინაოა, რომ იგი არ არის ახლა დარბაზში. ბატონმა ივანიშვილმა სამი მილიარდი დოლარი დახარჯა ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის, საკუთარი ჯიბიდან. ბატონმა ხაზარაძემ, მეგობრებო, შედარებისთვის – ანაკლიის პროექტისთვის, რომელსაც იგი თავად უწოდებს საუკუნის პროექტს, დახარჯა სამი მილიონი დოლარი. დღეს ბატონი ხაზარაძე და მისი ჯგუფი წასული არის სასამართლოში, უცხოეთის სასამართლოში და ქვეყანას უჩივს რამდენს? – 1,5 მილიარდი აშშ დოლარს, რომ ქვეყანას, ჩვენს ხალხს წაგლიჯოს 1,5 მილიარდი დოლარი – აი, ეს არის პასუხი თქვენს დემაგოგიაზე, მეგობრებო და თქვენეული ხედვა, ბატონო მამუკა! ანაკლია არ არის საუკუნის პროექტი, ეს არის საუკუნის ძარცვის პროექტი! მაშინ, როცა მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, დაწყებული ყოფილი პრემიერ-მინისტრის და პარტიის თავმჯდომარის, ბატონ ივანიშვილის დროს, შემდეგ ჩემი პრემიერობის დროს, ყველა მომდევნო პრემიერის დროს, ამ პროექტს ჰქონდა სრული მხარდაჭერა. მთავრობამ დახარჯა 60 მილიონი ლარი, მეორე 300 მილიონი ლარი ჰქონდა აღებული ვალდებულება, მინები გამოისყიდა, შემდეგ 100 მილიონი დოლარი ჰქონდა ასევე ვალდებულების სახით აღებული და ოთხჯერ გადაუვადეს შესრულება. დღეს რომ ჩახვალთ ანაკლიაში, ნახავთ, რომ იქ არის ქვიშის გორები და ხალხი ვერ სუნთქავს ადგილზე, იმიტომ, რომ დაინყეს რაღაც სამუშაოები, რაც გითხარით სამი მილიონი დოლარი, ჩემი ინფორმაციით, მეტი არ არის დახარჯული, ბატონი ხაზარაძის და მისი ჯგუფის მიერ და რეალურად შესრულებული არაფერია, ამბობენ, რომ დახარჯეს 80 მილიონი. დავუშვათ, მართლა დახარჯეს 80 მილიონი, მაინც გვიჩივიან მილიარდ 500 მილიონს, როგორც ბატონი ვაშაძე იტყობა, ჩვენს გაღარიბებულ ქვეყანას... რაზეა საუბარი, ამდენი ფარისევლობა და სიყალბე არის დამლუპველი, მეგობრებო, დამლუპველია ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მოქალაქეებისთვის.

ძალიან ცუდად მომხდდა ყურში, როდესაც არაერთმა გამომსვლელმა, მათ შორის ბატონმა ვაშაძემ, ქალბატონმა ჩარკვიანმა, ქვეყანა მოიხსენიეს შემდეგი ეპითეტებით – „ყველაზე უბედურ ქვეყანა“, ძალიან მერიდებია ამის თქმა – „ჩამპალი ქვეყანა“ და ა.შ.

თქვენ ქვეყანა არ გიყვართ, მეგობრებო? როგორ საუბრობთ ჩვენს სახელმწიფოზე საერთოდ?! ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვაქვს, ყველანი გა-



# ისევ დაყოფა, ისევ სიძულვილი, ისევ მავნებლობა!...

ვერთიანდეთ, ასეთი დამოკიდებულებით უბრალოდ არ მესმის, ვერ ვხედავ სერიოზულ პერსპექტივას ამ ოპოზიციასთან, „ნაციონალური მოძრაობასთან“ ერთად. ქვეყანა 6 თვის განმავლობაში ამყოფეს საბოტაჟის რეჟიმში და დღეს პასუხი არ გაუციათ ჩვენი მოქალაქეებისთვის, რატომ დააზიანეს ჩვენი სახელმწიფო.

იცით, რას მუშენებიან ჩვენი ამერიკელი და ევროპელი მეგობრები? რომ ისინი დაილაღნენ „ნაციონალიზმის“ ლიდერების ჩივილით ქვეყნის პრობლემებზე, რეალურად იმაზე, რომ აქ, საქართველოში რაღაც საშინელება ხდება. ჩვენ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ და ღიად გააჟღერეს, რომ დღეს თურმე, მათივე შეფასებით, ქვეყანა არ არის მზად, გახდეს ნატოს წევრი. შევასხენით მათ, რომ დაჟინებით ითხოვდნენ, არ მიეცათ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მოქალაქეებისთვის, მათივე თანამოქალაქეებისთვის უფიზო რეჟიმი. ჩვენ ამას მაინც მივალნივთ, და კიდევ უფრო მეტს მივალნივთ, მიუხედავად თქვენი ამ მავნებლური პოლიტიკისა. **მე არ მოვერდები ამის თქმას, ეს არის მავნებლობა და ეს მავნებლობა უნდა დაამთავროთ, უნდა დაამთავროთ იმიტომ, რომ ასე ქვეყანა ვერ განვითარდება.**

აქ საუბრობდნენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირებულია და ასეც არის ნამდვილად; შევასხენებთ, რომ იანვარში, ბატონი მეღია, რომელიც რატომღაც არ დადის!.. მესმის მისი, გაუჭირდებოდა აქ ყოფნა, იმიტომ, რომ ჩვენ, „ქართული ოცნება“ ვართ დარბაზში, ყოველდღე იმეორებდნენ, რომ გაზაფხულზე უნდა მოხდეს რევილუცია. რატომ ამბობდნენ ამას? იმიტომ, რომ ინვესტორს არ ჰქონდა პროგნოზირებისა და სტაბილურობის შეგრძნება.

შემთხვევით არ გამისხნებია 90-იანი წლები და 2008 წლის ომი, მთავარი, რაც ყველას სჭირდება, როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს ხალხს, ისე უცხოელებს, ვინც აქ ცხოვრობენ, ისე ინვესტორებს, ვინც ფულის ჩადებას აპირებს ჩვენს ქვეყანაში, არის პოლიტიკური სტაბილურობა. ერთადერთი ძალა და ყოველთვის შევასხენებთ ამ ადამიანებს, ვინც ამ 30 წლის განმავლობაში უზრუნველყო რეალურად უწყვეტი მშვიდობა და სტაბილურობა, არის „ქართული ოცნება“. როცა ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად ამ მავნებლური პოლიტიკისა და მათი უწყვეტი საბოტაჟისა, ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ მშვიდობა და ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარება. შევითხვები უამრავია და ამ დემაგოგიასა და სიყალბესთან ერთად, რა თქმა უნდა, არის ძალიან ბევრი ცილისწამებაც, რა არის „ქართული ოცნების“ მთავარი მიღწევა?! **1 ოქტომბერი არის მთავარი მიღწევა, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა რეალურად გათავისუფლდა თქვენი მწაგვრელი რეჟიმისგან.**

27 ივნისს, 7 წლის წინ, ჩვენ ხელი მოვანერეთ ასოციირების ხელშეკრულებას, მივალნივთ უფიზო რეჟიმს, თავისუფალ ვაჭრობას. ყველა მიმართულებით, იქნება ეს ადამიანის უფლებები, იქნება ეს ჯანდაცვა, განათლება, სპორტი, კულტურა, პოლიციის რეალურად დეპოლიტიზება და მისი გაძლიერება, უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერება, ჯარის გაძლიერება – ყველა მიმართულებით ჩვენ გვაქვს ხელშეხებით პროგრესი. ეს არის საკმარისი? – რა თქმა უნდა, არა! მე ჩემს გამოცდილებაში ვისაუბრე, რომ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი მთავარი გამოწვევა არის ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი მოქალაქეების სიღარიბე!..

**ნახევარ მლნ-ზე მეტი დღეს სახელმწიფოსგან იღებს შემწევას, რომ გადაარჩეს. მათ შორის, 180 000 ბავშვია. ამ პირობებში, მათ აბსოლუტურად არ აინტერესებთ ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობა, სტაბილურობა, გარდა პირადი ეგოსი. სწორედ, პირადი ინტერესების გამო ხდება**

ყველაფერი. ის, რაც ბატონმა ხაზარაძემ თქვა, მხოლოდ პირადი ინტერესების გამო იყო. რაც ბატონმა ვაშაძემ თქვა, ასევე მისი პირადი ამბიციების გამო იყო. **რბ თქმა უნდა, აღარ მსაუბრობ „ნაციონალიზმზე“ და მათი პირადი ამბიციებზე და მათი ბელადის პირადი ზრახვებზე, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი ჩვენი ქვეყნის საინფორმაციო და მენეჯერულ სფეროში, კიდევ გააჩივოს, კიდევ ჩააბარებს მტრებს, ოპოზიციას გააკამათებინებს დამატებითი ტერიტორიების, იმისთვის, რომ მან ხელახლა მოიპოვოს ძალაუფლება. ახას ვერ იღრისებოთ, მგობრებო!..**

ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, ვინაიდან ისეც მიწევს საუბარი მათ პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე. მე ძალიან ბევრი ვისაუბრე ჩვენს გრძელვადიან ხედვაზე, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავინყდეს, როგორ მოვედით დღევანდელი ბამდე. ერთის მხრივ, წარსული უნდა გვახსოვდეს ყოველთვის, რომ ჩვენი მოქალაქეები, ჩვენი მოსახლეობა, ჩვენი ხალხი დავაზღვიოთ შეცდომების განმეორებისგან. მეორეს მხრივ, სად ვართ დღეს და სად გვინდა, რომ ვიყოთ – აი, სწორედ ამ ხედვაზე ავაგეთ ჩვენი გამოცდილება, მთავრობის ხედვაზე სწორედ ამაზეა დაფუძნებული, ჩვენი პოლიტიკაც და მინდა, მაღლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტს, თითოეულ დეპუტატს, ვინც გვერდში გვიდგას ჩვენ, მთავრობას.

როგორც ერთიან გუნდს, მჯერა, ჩვენ ერთად ძალიან ბევრი საქმის გაკეთება შეგვიძლია.

გამონვევები, ბუნებრივია, ძალიან ბევრია. კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო პანდემია და ვაქცინაციასთან დაკავშირებით არაერთი შეკითხვა დაისვა. იმის მიუხედავად, რომ მე ვისაუბრე და 2-3 დღეში უკვე შემოვა ერთი მილიონი ვაქცინა, შემდეგ, – Pfizer-ის კიდევ ერთ

თი მლნ, შემდეგ კიდევ ერთი მლნ სხვა, ჩინური ვაქცინებს, უწყვეტად მივიღებთ მაინც აგრძელებენ დემოგოგიას და სიტუაციას, რომ მთავრობას თურმე არ აქვს ვაქცინაციის გეგმა და ა.შ. შევასხენებთ, რომ ჩვენ გვაქვს თავიდან ბოლომდე დალაგებული ეს სისტემა, მათ შორის ექიმებისგან შემდგარი ბრიგადები, რომლებმაც დღეში 20-30 ათასამდე აცრა უნდა ჩაატარონ. ამ მიმართულებით ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ. COVAX-ის პლატფორმიდან, რომელზეც იყო მთავრობა და მოკიდებული მანამდე, ვიდრე მე დავინიშნე მთავრობად, იყო სერიოზული შეფერხება და თქვენ იცით, რომ ევროპის ქვეყნებსაც, ძლიერ სახელმწიფოებს ჰქონდათ ძალიან ბევრი შეფერხება ვაქცინების მიწოდებასთან დაკავშირებით. შემდეგ ჩვენ შევცვალეთ, როცა მე დავინიშნე და მინისტრთან ერთად აქტიურად ვიყავით ჩართულნი. პირადად ვესაუბრებოდი როგორც Pfizer-ის ხელმძღვანელს, ასევე, ჩინეთის ხელისუფლებასთან გვექონდა პირდაპირი მოლაპარაკებები და მიმონერები. ჩვენ მივალნივთ იმ შედეგს, რაც უკვე მოგახსენეთ.

რაც შეეხება ეკონომიკის აღდგენას, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ქვეყნის დიდი ოპტიმიზმის მომცემია ის ფაქტი, რომ ეკონომიკის სწრაფი აღდგენა მიმდინარეობს. აპრილში ჩვენ გვექონდა 45%-მდე ზრდა, მაისში ჩვენ ველოდებით, მინიმუმ 25%-იან ზრდას, რაც გვადლევს ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს.

**ეს ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ესმით. მათ შორის, ბატონ რომანს გოციონიძეს კარგად ესმის, ეს რას ნიშნავს. მათი ეს პესიმისტური გამოსვლები ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს, რომ რამენაირად ეს პოზიტიური მოლოდინები შეცვალონ და შეაფერხონ.**

ამას ემსახურებოდა ბატონი არმაზ ახვლედიანის, ამ „ბუმ-ბერაზი“ ადამიანის ნათქვამი, რომ ჩვენ, მთავრობა, თურმე ვამზადებთ თვითმმართველობის არჩევნების გაყალბებას. ეს ემსახურება კიდევ იმას, რომ შეიქმნას ხელახლა რაღაც არასტაბილურობის განცდა.

მე და მთლიანად ჩვენი გუნდი, მთავრობა გაძლევთ გარანტიას, რომ ვიქნებით მაქსიმალურად მობილიზებული, მთელი საპარლამენტო გუნდი, მთელი უმრავლესობა, „ქართული ოცნება“, რა თქმა უნდა, ჩავატარებთ უპრეცედენტოდ გამჭვირვალე, ღია, თავისუფალ არჩევნებს და დამაჯერებლად, ყველა მუნიციპალიტეტში გაიმარჯვებს ჩვენი პარტია.

მე მინდა, კიდევ ერთხელ მაღლობა გადავუხადო ჩვენს საპარლამენტო უმრავლესობას, ჩვენი პარტიის თავჯდომარეს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს, ბატონ პარლამენტის თავჯდომარეს, თითოეულ დეპუტატს. იმედი მაქვს, რომ ჩვენ გავაგრძელებთ კონსტრუქციულ რეჟიმში ოპოზიციის გარკვეულ ნაწილთან, რა თქმა უნდა, თანამშრომლობას. ჩვენ მზად ვართ, მთავრობა მზად არის, ღიად გადავრძელოთ კვებას მათთვის ერთად, იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ დღევანდელი მძიმე მდგომარეობა.

ჩვენი მთავარი ხედვა რაც არის ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის მიმართულებით, ადგილობრივი წარმოების განვითარების, ქართული ჯარის გაძლიერების და განვითარების, პოლიციის გაძლიერების თუ ყველა სხვა მიმართულებით, ემსახურება იმას, რომ 2030 წელს და ეს არც თუ ისე შორს არის, განხორციელდეს. როდესაც ჩვენ გვაკრიტიკებენ ოპონენტები ათწლიან გეგმაზე, მე მინდა მათ შევასხენო, არ არსებობს ნორმალური სახელმწიფო, რომელიც არ იხედება შორს და არ გეგმავს, არ აქვს გრძელვადიანი განვითარების ხედვა.

**მინდა, კიდევ ერთხელ მაღლობა გადაგიხადოთ და გისურვოთ მშვიდობა და სტაბილურობა!**



# რატომ გვიწერენ თითოს „გაბობარი“ დიპლომატები?!

## დასავლური სივილიზაციის ყველაზე დიდი მტარი თვითონ დასავლეთია!...

საქართველოს პარტიზონი ქვეყნები, საერთაშორისო საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ საქართველოს სტრატეგია ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. დამოუკიდებელი სასამართლო ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი ქვეყნისთვის, რომ განსორცხვდეს საქართველოს მისწრაფება ნატოში განხორციელებისკენ. სწორედ ამიტომ, ბოლო 25 წლის განმავლობაში აშშ და საერთაშორისო საზოგადოება მხარს უჭერს საქართველოს ამ ძალისხმევას მიღწევაში.

ამის მიუხედავად, საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი აცხადებს, რომ კარგი იქნება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშნვის პროცესში პარლამენტი პაუზას თუ გააკეთებს. ევროკავშირის ელჩის პოზიციას ამყარებს აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი, რომლის შეფასებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარმოადგინა კანდიდატები, ახლა პარლამენტის უფლებამოსილებაა, დროებით შეაჩეროს ეს პროცესი მანამ, სანამ რეფორმის სრულად განხილვა მოხდება.

მოსამართლეთა შერჩევის პროცესის შეჩერების საფუძველს ვერ ხედავს მმართველი გუნდი. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე მისიელ სარჯველაძე თვლის, რომ შესაძლოა, პარტიზონებს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეთ და ამაზე საკარაულოდ, საუბარი შედგება. სარჯველაძის განცხადებით, შარლ მიშელის დოკუმენტში მოსამართლეების საპარლამენტო პროცედურების შეჩერებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი რეფორმებიდან არც ერთი არ რჩება.

შეფასებებში მკაცრია სოზარ სუბარი. პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე უკვირს, როცა ჩვენი პარტიზონი ქვეყნების ელჩები აკეთებენ ზედმეტად მკაცრ შეფასებებს სასამართლო რეფორმის მიმართ. მისი თქმით, როდესაც საუბარია სასამართლოზე, ობიექტური კრიტერიუმები უნდა დავაყენო. ამ კრიტერიუმებით სასამართლოს ნდობა მაღალია და მის დამოუკიდებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

„ჩვენი მეგობრების და პარტიზონების, მათ შორის ელჩების შეფასებები, მეჩვენება, რომ ძალიან ხშირად არის გადაჭარბებული. ჩვენი პარტიზონების წინაშე შარლ მიშელის დოკუმენტით და მანამდე აღებული ყველა ვალდებულება შესრულებულია, ხშირ შემთხვევაში გადამეტებითაც კი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ რეფორმა არის დამთავრებული. რეფორმა გრძელდება და ზოგადად, რეფორმირება არ არის თემა, რომელიც შეიძლება ერთხელ დამთავრო და ყველანი სამოთხეში აღმოვჩნდეთ, ეს მუდმივად უნდა გაგრძელდეს ყველა სფეროში“ - განაცხადა სოზარ სუბარმა.


დიპლომატიურ კორპუსს ტონალობას უწუნებს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, ხელისუფლების სისუსტის აშკარა შედეგია, როცა საქართველოში აკრედიტებული ელჩი მიუთითებს რა გადანწყვტილება შეიძლება მიიღოს პარლამენტმა. როგორც საყვარელიძე აცხადებს, ისინი ამ თავიანთი დაუფიქრებლობით სწორედ რუსეთის საქმეს აკეთებენ.

პარლამენტი მოსამართლეთა არჩევის შეჩერების საფუძველს ვერ ხედავს. აშშ-ის და ევ-

როკავშირის ელჩები პარლამენტისგან პაუზას ითხოვენ. წარმოუდგენელია, საქართველოს ელჩები აშშ-ში და ევროკავშირში აკეთებდნენ ასეთ მკაცრ შეფასებას და მოუწოდებდნენ სენატს შეაჩერონ გადანწყვტილების მიღება. როდესაც საქართველოში აკრედიტირებული ელჩები თავს უფლებას აძლევენ, ხელისუფლებას უკარნახონ რა და როგორ გააკეთონ, არ ფიქრობთ, რომ ამით არღვევენ დიპლომატიურ ეთიკას?

რამაზ საყვარელიძე: პირველი წელი არ არის, როდესაც ელჩები ერევიან შიდა საქმეებში და დიდი ხანია ამაზე ვსუბარობთ, მაგრამ ეს უტაქტობა გრძელდება. სოციალური ქსელის მომხმარებელმა დაწერა - „ახლა გავიგე სადაც ამერიკა შევიდა, იქ რატომ არის ანტიამერიკული განცხადებები“. ჩვენ, საქართველოს უამრავი კარგი გავიგეთ ამერიკამ და დასავლეთმა, მაგრამ ჩვენი გული ვერ მოიგო, სწორედ, იმიტომ, რომ უტაქტოდ იქცვიან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ესეც უტაქტობის ბრალია.

სხვა რამაზე აკეთებენ აქცენტს და ამ დროს სხვა რამეზე უნდა იყო საუბარი. კერძოდ, აქცენტი უნდა იყოს იმაზე, რომ დოკუმენტი არის ხელმოწერილი და უნდა შესრულდეს ხელმოწერილი პირობა. მათი შუამდგომლობით იყო ეს ხელმოწერა გაკეთებული. ამიტომაც აქვთ ამ შემთხვევაში ასეთი მოთხოვნის ტონი. სხვა უამრავ შემთხვევაში, ისინი არღვევენ და არღვევენ




დენ დიპლომატიურ ეტიკებს. ვთვლი, რომ ტონი და თითის ქნევა ზედმეტი მოსდით, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში ხელმოწერილი პირობის შესრულებაზე ლაპარაკი და მეტი არაფერი.

- ეს თითის ქნევა, ხმამაღალი ტონი, უფრო მეტ ნეგატივს არ აჩენს პარტიზონი ქვეყნების მიმართ? ძალიან ხშირად მოგვისმენია შეფასება - რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთი დამიქნევს თითს, თუ დასავლეთი? პრინციპში, არის ამაში ლოგიკა... -

აბსოლუტურად გეთანხმებით. მკვეთრი ლოგიკა არის და აი, ამ თავიანთი დაუფიქრებლობით აკეთებენ სწორედ რუსეთის საქმეს. ეჭვი არ მეპარება, რომ არ უნდათ რუსეთის საქმის კეთება დეგნანს და ჰარცელს, მაგრამ დაუფიქრებლობით აკეთებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის საქმის კეთება არ უნდა ამერიკას როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდა მთელს მსოფლიოს, მაგრამ რუსეთის საქმე რომ გააკეთა, ეს მერე აღმოაჩინა.

- როგორ ფიქრობთ, რატომ დატოვა „ქართულმა ოცნებამ“ ეს ნაღმი, რომელიც დღეს აფეთქების ზღვარზეა და ამ ნაღმმა საზოგადოებაში გააჩინა ძალიან სამართლიანი კითხვა - თუ არ მინდა რუსული ჩეჩქა, რატომ უნდა მინდოდეს ამერიკული, ან ევროპული ჩეჩქა? და ძალიან მარტივია, თუ ვარ დამოუკიდებელი ქვეყანა, სწორედ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პარლამენტმა უნდა მიიღოს გადანწყვტილება მოსამართლეთა დანიშვნის ვადებზე და არა კელი დეგნანმა, ან კარლ ჰარცელმა... -

აბსოლუტურად გეთანხმებით, მოგყვებით ამ მსჯელობაში და მაგიტომ ითვლება დიპლომატიური ეთიკის არსებით ნაწილად ის, რომ დიპლომატმა არ უნდა იმსჯელოს იმ ქვეყნის შიდა პრობლემებზე, სადაც ის დიპლომატიური მისიით არის წარდგენილი. ამ შემთხვევაში ელჩები არღვევენ ამ ნორმას, არ იცევიან როგორც დიპლომატები, იცევიან როგორც მონკეული



ექსპერტები, ოღონდ ბოლოში კიდევ თითს იქნევენ, თუ ასე არ იქნება... ვერ გაიგებ, რაღაც ნაზავია. როცა სახელმწიფოს წარმომადგენელი რაღაცას ამბობს, მის უკან დგას სახელმწიფო. ამ შემთხვევაში დეგნანი უფრო სწორია და რატომ? - მეორე დღეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ზუსტად ის განცხადება გამოაქვეყნა, რასაც დეგნანი ამბობდა. ჩვენ დიპლომატებს ვჩივით, მაგრამ მცდარი დეგნანი კი არ არის, პრობლემა ის არის, რომ დასავლეთი არასწორად მოქმედებს მხარე. დასავლეთმა ვერ გაიგო, რომ თავისი შეცდომებით ხელს თავის მტერს უწყობს. მისი შეცდომების შედეგია, რომ ამიერკავკასიაში რუსეთი გაძლიერდა ყარაბაღის კონფლიქტის მისებურად მოგვარების გამო. როცა კონფლიქტის მოგვარება გადადეს სამუდამოდ, პუტინმა ისე მოგვარა, როგორც თვითონ აწყობდა.

- საქართველოს შემთხვევაში დასავლეთის არასწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე, მცოცავი ანექსიის ფაქტები გვაქვს სახეზე. მთავარი მაგისტრალიდან ადვილად შესამჩნევია ოკუპანტების მიერ საქართველოს ტერიტორიების მიტაცების ფაქტები... -

ანექსიის ფაქტები და სამხრეთ კავკასიიდან განდევნილი რუსული ჯარები უკან შემოვიდა და აგერ დგას აფხაზეთსა და ოსეთში. ეს მოჰყვა კოსოვოს აღიარებას. რომ ჰკითხოთ, რა მოიგო დასავლეთმა კოსოვოს აღიარებით, ვერავინ ვერ გიპასუხებთ. იმიტომ, რომ ეს იყო კლინტონის დროინდელი ფორმულა - კოსოვოს და სერბეთის საკითხი არის ერთ-ერთი საჯილდოო ქვა, სადაც საბჭოთა კავშირი და დასავლეთი იჯობებდა ერთმანეთს. მის მერე გავიდა დიდი დრო, დაიშალა ეს ოხერი საბჭოთა კავშირი, იმათმა მანინ აღიარეს კოსოვო. ანუ, რაღაცა ინერციით მოქმედებენ!

- ინერცია, რომელიც საზოგადოებაში აჩენს ნიჰილიზმს დასავლეთის მიმართ. წარმოუდგენელია ამას თვითონ დასავლეთი ვერ ხედავდეს... -

მაგას ვერ ხედავს კი არა, გადავავლოთ მსოფლიოს თვალი, ამერიკაშიც ნახვრად მორღვეულია სახელმწიფო სტრუქტურა. საპოლიციო სისტემის დაფინანსებაზე უარი თქვა პრე-

### დღეს, რამდენად ღონივრად ღვს ამერიკული სახელმწიფო, ეს კანკა არ იცის. როგორ გაიმარჯვა ბაიდენმა და როგორ დაამარცხა ტრაიპი, ეს კიდევ ცალკე თემაა. თავიანთი თავისთვის ვერ მოუვლიათ და ჩვენ გვინდა, რომ განგვისაგდვრონ პოლიტიკური დღის წესრიგი?

იზდენტმა ბაიდენმა. ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში შეიარაღებული ტიპები დადიან, ამ შემთხვევაში სამოქალაქო პირები. დღეს, რამდენად ღონივრად დგას ამერიკული სახელმწიფო, ეს კაცმა არ იცის. როგორ გაიმარჯვა ბაიდენმა და როგორ დამარცხდა ტრაიპი, ეს კიდევ ცალკე თემაა. თავიანთი თავისთვის ვერ მოუვლიათ და ჩვენ გვინდა, რომ განგვისაგდვრონ პოლიტიკური დღის წესრიგი?

რუსეთს რომ ვერაფრით ვერ მოუგეს საგარეო პოლიტიკა, ამას ყოველდღიურად ვხედავთ. ვერ საქართველოში შეიჭრა, შემდეგ უკრაინაში, ახლა თავისი ჩეჩქა ჩადო ყარაბაღში და ვერაფერს უშვებია. სანქციების გარდა, სხვა ბერკეტი არ აქვთ და რაც მთავარია, ხედავენ, რომ ამ სანქციებით რუსეთს ვერ აჩერებენ. ძნელი დასანახია ეს ყველაფერი? - რა თქმა უნდა, არა.

- თუმცა, ახლა რუსეთი განია გვერდზე აშშ-მა და დასავლეთმა, წინა პლანზე ჩინეთია წამოწეული... -

და ჩინეთს რითი პასუხობენ? რა ინსტრუმენტი აქვთ იმისა, რომ ჩინეთი თავის ჭკუაზე ატარონ, როცა ჩინეთს აქვს უამრავი ინსტრუმენტი, რომ მთელი ევროპა და მთელი ყველაფერს, მთელს მსოფლიოში, ნემსი და ძაფით დაწყებული, აწარმოებს ჩინეთი. ჩინეთმა რომ მოინდომოს ევროპასთან დაჯახება, ამისთვის უამრავი ინსტრუმენტი უკავია ხელში. დასავლეთს გაზომილი აქვს ეს ინსტრუმენტი? - არა. დასავლური ცივილიზაციის ყველაზე დიდი მტერი, თვითონ დასავლეთია და საქართველოს ბედობლას გაზომავენ ისე, რომ არაფერი შეეშალოთ!

ამიტომ, ჩვენი სისულელეა, როცა თუთიყუშები ვიშორებთ იმას, რასაც ისინი გვეუბნებიან. რა თქმა უნდა, უნდა შეასრულო რასაც ისინი ამბობენ, მაგრამ უნდა იცხოვრო ისე, როგორც შენ გჭირდება. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და დიდ ქვეყნებს მტრად ვერ მოვიკიდებთ. ამიტომ მივედივართ იმ დასკვნამდე, რომ ელჩები არაფერ შუაში არ არიან. აბა, ერთი საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიბაროს ელჩი და უთხარას, რომ წუ ვერც პარლამენტის გადანწყვტილებაში უჭერო ადრე, დავით ზალკალიანს დაიბარებს აშშ-ის ელჩი, ვიდე ზალკალიანი ელჩს.

- საბოლოოდ მივედივართ იმ დასკვნამდე, რომ სულაც არ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო? -

მარტო დამოუკიდებლობა არ კმარა, სრულფასოვანი დამოუკიდებლობისთვისაც ძალია გჭირდება. საქართველო დავით აღმაშენებლის დროს იყო ისეთი დამოუკიდებელი, რომ სხვები დადიოდნენ მის ჭკუაზე, თორემ მთელი ისტორიის მანძილზე, რადგან პატარა ქვეყანა იყავი, ხან ირანი გინიშნავდა მეფეს, ხან თურქები, ხან არაბები, ხან მონღოლები. მეფეს - აი, ამ შთამომავლობით მიღებულ თანამდებობას!

წუ დაგვავინყვებდა, რომ დღეს ბევრად უფრო პატარა ვართ, ვიდრე მაშინ. ის, რასაც გვიხედავენ, არის ჩვენი სისუსტის ბრალი. ოღონდ ეს აღარ არის ხმლის სისუსტე, ეს არის ეკონომიკური სისუსტე. მაგალითად, იაპონიას ასე ადვილად ვერ გაუბედავენ, იმიტომ, რომ ის ეკონომიკურად ძლიერია. ამიტომ, დღეს ფიზიკურ სიძლიერესთან ერთად, ძალიან დიდი წონა აქვს ეკონომიკურ ძალას.

ესაუბრა თამთა ძარჩავა



დედაქალაქის მერმა, კახა კალაქიძემ საზოგადოებას თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკის მიმართული, 2018-2021 წლებში განხორციელებული პროექტების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

თბილისის მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკა



„შპმ მეექვსე კვირაა, რაც საზოგადოებას ვაბარებთ ანგარიშს იმ პროექტებთან და საქმეებთან დაკავშირებით, რაც დედაქალაქში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა. 2017 წელს საზოგადოებას დავაპირდით, თუ რა პროექტები იქნებოდა განხორციელებული. მთელი ამ წლების განმავლობაში, ვიყავით ძალიან აქტიური, ყოველდღიური კომუნიკაცია გვქონდა საზოგადოებასთან, თუმცა, რადგან ოქტომბერში ჩვენი უფლებამოსილების ვადა იწურება, ვალდებულად ვთვლით თავს, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მივანოვოთ სრული ინფორმაცია, ყველა იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რაც ქალაქის მასშტაბით ჩატარდა.“

„2017 წელს ჩვენი სლოგანი იყო – „სიცოცხლით სავსე ქალაქი“, რომელიც ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავდა. პირველი, ეს არის ურბანული პოლიტიკა. მეამაყება, როგორც ქალაქის მერს, რომ ჩვენ წერტილი დავუსვით ქალაქის ქაოტურ განაშენიანებას, რომელიც სერიოზული პრობლემა იყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ეს ქალაქი უყვარს; შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სატრანსპორტო პოლიტიკა, სადაც შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციური ცვლილებები ხორციელდება. რა თქმა უნდა, აღნიშნული პოლიტიკის რეფორმის განხორციელებას, გარკვეული პერიოდი დასჭირდება, თუმცა პირველ ნაბიჯებს საზოგადოება უკვე ხედავს; ასევე, მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის პოლიტიკა, რომელიც პირადად ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით, ძალიან კარგი პროექტების განხორციელება მოხერხდა, როგორც გამგებების, ასევე, მუნიციპალურ დონეზე; ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ბიუჯეტში ეს კომპონენტი სერიოზულად არის გათვალისწინებული; ასევე, ვისაუბრებ ჯანდაცვისა და სოციალურ პოლიტიკაზე, რომელსაც პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ მოკლებია. პირიქით, დამატება თანხა იმისთვის, რომ მაქსიმალურად დავხმარებოდით იმ ოჯახებს, ვისაც ყველაზე მეტად გაუჭირდა; შემდეგი მიმართულება ეს არის კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ახალგაზრდებს ვუთხრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია.“

192 526 769 ლარია. ოთხი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით, დაახლოებით, 2 მილიარდ ლარამდე ღირებულების სხვადასხვა სამუშაო განახორციელა, ხოლო მილიარდ 343 მილიონი ლარი სოციალური და ჯანდაცვის პროექტებზე დაიხარჯა, – აღნიშნა თბილისის ვიცე-მერმა.

ირაკლი ხმალიაძის თქმით, პანდემიიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, 2020 წლიდან დღემდე, სხვადასხვა ხელშეწყობის ღონისძიება გატარდა და ამით რამდენიმე ათასმა სუბიექტმა ისარგებლა.

მისივე განცხადებით, რესტორნების, კვების ობიექტების, საკლუბო ინდუსტრიისა და ბავშვთა გასართობი ცენტრების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 4 200 000 ლარი გამოიყო.



„როდესაც თბილისის მართვა დავიწყეთ, ჩვენი მიზანი მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა იყო, თუმცა პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკა დაზარალა. გამოწვევის არც თბილისი ყოფილა. შესაბამისად, ჩვენი მუშაობის დიდი ნაწილი და რესურსი გამოვიყენეთ იმისთვის, რომ თითოეული სამეწარმეო და ბიზნეს აქტივობა შეგვენარჩუნებინა. ეკონომიკური სექტორისთვის არაერთი საშლავათო პაკეტი დანერგდა, რომლითაც ისარგებლა რამდენიმე ათასმა სუბიექტმა. ძირითადად, ეს არის საიჯარო ქირების გადავადება და ჩამონერვა, სანქცია-საურთავების, პირგასამტეხლოს დაკისრების შეჩერება. ზოგ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს მთლიანად ჩამონერვა. ასევე, დასუფთავების მოსაკრებლის შემცირება. მათ შორის, კვების ობიექტებს მსგავსი მოსაკრებელი 8-ჯერ შეუმცირდა. პოსტპანდემიურ პერიოდში, ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა ამოქმედდა რესტორნების, კვების ობიექტების, ელექტრონული მუსიკისა და საკლუბო ინდუსტრიის სუბიექტების, ბავშვთა დაბადების დღისა და გასართობი ცენტრებისთვისაც. ამ პროგრამის ჯამური ღირებულება შეადგენს, დაახლოებით, 4 200 000 ლარს, რომელიც პირდაპირ ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გადაირიცხა.“

მისივე თქმით, მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგები დანერგა სამშენებლო სექტორისთვისაც. მათ შორის, შემუშავდა სამშენებლო ამნისტიის პაკეტი.

გარდა ამისა, ვიცე-მერმა აღნიშნა, რომ თბილისის ანძის განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გამოვლენილი

კომპანია უკვე საკვლევ სამუშაოებს ახორციელებს.

მისი თქმით, ქალაქისთვის მნიშვნელოვანი, სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურისთვის შემუშავდა ეკონომიკურად გამართული მოდელი, რომელშიც ბიზნეს-სექტორი ერთვება და სხვადასხვა პროექტი მეტწილად კერძო ინვესტიციებით ხორციელდება.

„ერთ-ერთია თბილისის გარე განათების პროექტი, რომელიც ჩვენ თვითონ შევიმუშავეთ და შევადგინეთ გარე განათების სტანდარტი. ამჟამად, მიმდინარეობს სატენდერო პროცედურა და კერძო კომპანიების მეშვეობით, განხორციელდება გარე განათების განახლების 100-მილიონიანი პროექტი“, – განაცხადა ირაკლი ხმალიაძემ.

თბილისის ვიცე-მერის თქმით, თბილისის გარე განათების სექტორს, დაახლოებით, 70-პროცენტისიანი ეკონომიის რესურსი გააჩნია.

თბილისის მერის კახა კალაქიძის განმარტებით კი, აღნიშნული პროექტისთვის ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ იხარჯება.

„გამარჯვებულ კომპანიას ექნება ვალდებულება, მოიზიდოს თანხები, თავისივე თანხებით განახორციელოს ეს პროექტი და შემდეგ, ის თანხა, რომელსაც ჩვენ ყოველწლიურად ვიხდით ელექტროენერჯის მოხმარებაში, მიმართული იქნება ამ კომპანიაში. ეს საინტერესო მოდელია და პირველი ქალაქი არ ვართ, რომელიც ანალოგიურ პროექტს ახორციელებს. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ასეთი პროექტები განხორციელდა“, – განაცხადა კახა კალაქიძემ.

თბილისის ვიცე-მერმა ასევე, ისაუბრა რადიოქალაქის განვითარების პროექტზე. მისი თქმით, ამ პროექტმა ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა გამოიწვია.

„იმის გამო, რომ ჩვენ შევძელით ამ პროექტის სწორი ეკონომიკური მოდელირება, ეს პროექტი გავყიდეთ და ბიუჯეტმა მიიღო 23 მლნ ლარი, ხოლო ამ პროექტის განხორციელება მოხდება მოზიდული კერძო ინვესტიციებით, რომელიც იქნება დაახლოებით, რვა მლნ აშშ დოლარი. ბიუჯეტს არათუ რაიმე თანხა დაუჯდა ეს პროექტი, არამედ, პრივატიზაციის გზით, შემოსავლები 23 მლნ ლარით გაიზარდა.“

ანგარიშის პრეზენტაციაზე აღნიშნა, რომ თბილისის მერიაში ურბანული და არქიტექტურის მიმართულებით მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმა განხორციელდა.

„არქიტექტურის სამსახურს გამოვეყო ურბანული მიმართულება და შეიქმნა ურბანული განვითარების სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია გენერალური გეგმის მართვასა და ქალაქის ურბანული პოლიტიკის გატარებაზე, ხოლო არქიტექტურის სამსახური სპეციალიზდა კონკრეტულ სერვისებზე. თვითონ არქიტექტურის სამსახურში დაინერგა მართვის ეფექტიანი სისტემა, გაი-

ზარდა არქიტექტურის მიმართულებით მომსახურების ხარისხი და შემცირდა მომსახურების ვადები...“

გარდაც ამისა, ვიცე-მერის თქმით, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მერიის ყველა სერვისცენტრის რეაბილიტაცია და მოხდა მათი ადაპტირება შპმ პირებისთვის. აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა დედაქალაქის მერმაც.

„2017 წელს, როდესაც საარჩევნო კამპანიას ვატარებდით, დავპირდით მოსახლეობას, რომ მუნიციპალური სერვისები ყველასთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი და კომფორტული. წლების განმავლობაში როგორ დგებოდა: იყო მერია, სადაც ადამიანები უნდა მოსულიყვნენ და წერილი დაეწერათ მერის ან ვიცე-მერის სახელზე, რის შემდეგაც მიუვიდოდათ პასუხი. ამ რეფორმით, რომელიც ჩვენ დავანერგეთ, მოქალაქეს აღარ უნევს მერიაში მოსვლა. მას შეუძლია, თავისივე რაიონში მიმართოს გამგებობაში, სადაც ძალიან მაღალ დონეზე მოწყობილი მუნიციპალური სერვისები და ყველა ის სერვისი, რომელსაც მერიაში იღებდა, თავისივე გამგებობაში მიიღოს. ჩვენ ვგვგვაგვთ, ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა“, – აღნიშნა კახა კალაქიძემ.

ვიცე-მერის თქმით, მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით, ამოქმედდა ელექტრონული პლატფორმები, სადაც მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ ყველა ტიპის მუნიციპალური სერვისით სარგებლობა. ესენია: [www.ms.municipal.gov.ge](http://www.ms.municipal.gov.ge), [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge), [www.taxi.tbilisi.gov.ge](http://www.taxi.tbilisi.gov.ge); [www.parking.tbilisi.gov.ge](http://www.parking.tbilisi.gov.ge)

პრეზენტაციის დასასრულს, დედაქალაქის მერმა საზოგადოებას ბოლო წლების განმავლობაში გამოჩენილი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის თითოეულ თანამშრომელს განუცხადებდა მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, პანდემიით გამოწვეული რთული ვითარების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

„სამწუხაროდ, ქალაქში გამოწვევები და პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა, როგორც ქალაქის მერს ძალიან მეამაყება, თურისი გაკეთება მოვახერხეთ ბოლო წლების განმავლობაში. მართლაც ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, უამრავ ადამიანს დავესმარეთ, ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, წამოვიწყეთ სატრანსპორტო რეფორმა, ქალაქში იქმნება მწვანე სივრცეები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გავაგრძელოთ. უფრო მეტს გაკეთება იყო შესაძლებელი და უფრო მეტი კარგი პროექტი განხორციელდებოდა, რომ არა ის პანდემია და გამოწვევები, რომლის წინაშე დღეს არამხოლოდ ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიო დგას...“

„რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ ყველაფრის განხორციელება, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, თუ არ არსებობს სწორი მართვა და მენეჯმენტი. დღეს გვაქვს სურვილი, გესაუბროთ მართვისა და ეკონომიკის პოლიტიკაზე, რომელიც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა“...“

ეკონომიკური მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე დეტალურად თბილისის ვიცე-მერმა, ირაკლი ხმალიაძემ ისაუბრა. მისი თქმით, დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტი, დაპირებული ერთი მილიარდი ლარის ნაცვლად, 1 192 526 769 ლარია. ვიცე-მერის განცხადებით, 2018-2021 წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტმა, დაახლოებით, ორ მილიარდ ლარზე მეტი ინფრასტრუქტურულ, ხოლო მილიარდ ლარზე მეტი სოციალურ და ჯანდაცვის პროექტებზე დახარჯა.

„მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2018 წელს შეადგენდა 1 086 863 570 ლარს, 2019 წელს – 1 106 066 807 ლარს; 2020 წელს – 1 121 648 105 ლარს, ხოლო 2021 წელს, დაპირებული 1 მილიარდი ლარის ნაცვლად,




სისოცხლით სავსე ქალაქში

...მართლაც ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, უამრავ ადამიანს დაესმარენ, ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, მიმდინარეობს სატრანსპორტო რეფორმა, შეიქმნა მწვანე სივრცეები, კეთილმოეწყო სკოლები, ბაგა-ბაღები, ქუჩები, სკვერები, კულტურისა და დასვენების პარკები.

თბილისი ევროპის საუკეთესო დედაქალაქებს დაემსგავსა...





რამინ მებრეველი

# დიდგორის ბრძოლა

## ექვთიმე მთავრის 900 წლისთვის



„... ქმნა წყობანი დიდნი და სმაგასმენილი... იგი დიდი ძლევად“

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

### „წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი მეფე“...

საძარბაველს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორს განაღება. დიდგორსა და მანგლისსკენ მიმავალი გზა ნიჩბის სვეს მიჰყვება. მათთვის ურპაეცი და გოტიე მითითებენ, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარმა ორ მთას შუა დაიბანა. „ესე მეფე დავით, წმიდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი... ერთ ხეობაში დადგა ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტრები შემოტევენ უბრუნებლად“ (გოტიე). აღ-ფარიკი გვანჯვის მეტად საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ლაშქრის ნაწილი ერთ-ერთ მთაზე იყო დაბანაკებული და საჭირო შემთხვევაში ერთდროულად მზადდებოდა მტერზე მოულოდნელი, სწრაფი თავდასხმა. პირველი ბრძოლა უნდა მიეღო ძირითად ნაწილს, სადაც თვით დავით აღმაშენებელი იდგა.

დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა. დიდგორი ბაგრატ IV-ის დროიდან მაინც მეფეთა საზაფხულო სადგომი იყო და მისი დიდმნიშვნელოვნება სტრატეგიული თვალსაზრისით არაერთგზის დამტკიცდა. თურქ-სელჩუკთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი, მანგლისშიც უნდა ჩამდგარიყო. მას უნდა შეესრულებინა სელჩუკთა ფრონტის შუანელის შემაკავშირებელი რგოლის ფუნქცია და თვალის ფიზიკურად სჭეროდა მთელი დაჯგუფების შერჩევა (ივ. შაიშველაშვილი, დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ნიგ-ში: „დიდგორის ბრძოლა“, გვ. 79).

ფრანგი გოტიე გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს:

„მეომარო ძრისტიანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძობათ, არავც თუ ეშაპის ურიცხვ მიმდევართა, არაფელ თვით ეშაპასაც ადვილად დაგმობთ და ერთს რასამ ბირჩავთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველა, ხელაბის ცისკან ახსრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცით, რომ მისი სიხვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიწყებით და არ გავიწყვით. და რათა არ შეგვაძლოს გაქცევა, კიდევ რამ მოვიხდომეთ, ამ ხეობის შესავალი, რომელითა შემოვსულვართ, ხეთა ხშირი სოკობით შევპარით და მტარს, როცა მოგვიხალვდება ჩვენზე იერიშის მოსახანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევბრძოთ“.


### „შეიმტკიცნენ სიმაკვლითა ვითარცა ქვიშა ზღვსა“...

მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მტრის მოლაშქრენი „შეიმტკიცნენ სიმაკვლითა ვითარცა ქვიშა ზღვსა, რომლითა აღივსო ქვეყანა“ (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 324). მუსლიმთა ლაშქრის სიმაკვლეს ყველა სხვა ისტორიკოსიც (აღ-ფარიკი, მატეოს ურპაეცი, გოტიე, იბ-ალ-ასირი) ადასტურებს.

კოალიციური ლაშქრის რაოდენობის შესახებ დანერვილებით ცნობებს იძლევა სომეხი ისტორიკოსი მატეოს ურპაეცი. მისი სიტყვით, ილაზს 150 000 მოლაშქრე ჰყავდა, „არაბთა მეფეს“ დურბეიზ (დუბეის) სადაყას ძეს 10 000 კაცი გამოუყვანია. „ამავე დროს, აღნიშნავს სომეხი ისტორიკოსი, — გამოვიდა განძაკის სულთანი მელიქი 400 000 მამაცი ცხენონით გაეშურა უდიდესი ლაშქრით და შევიდა ქართველთა ქვეყანაში“ (ლ. დავლიანიძე, მათე ურპაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 245).

როგორც ვხედავთ, კოალიციური ლაშქარი მატეოს ურპაეცის მიხედვით შეადგენდა 150000+10000+400000=560000 კაცს. რა თქმა უნდა, ეს ცნობა გაზვიადებულია; წარმოუდგენელია, რომ ასე დიდი რაოდენობის ლაშქარი გამოეყვანა სამუსლიმ მფლობელს. ასევე გადაჭარბებულია ანტიოქიის სამთავროს კანცლერის ფრანგი გოტიეს ცნობა, რომელიც მიიჩნევს, რომ კოალიციურ მოლაშქრეთა რიცხვი 600 000-ს აღწევდა (იხ. გოტიე-კანცლერის „ანტიოქიის ომები“, ნიგში — ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 66).

**ჯამოდასახელაულ ავტორთა მიერ მოცემული ციფრობრივი მონაცემები მტრის ლაშქრის რაოდენობის შესახებ ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა იმასაც შევნიშნავთ, რომ, იმავი პირთა ცნობით, მონიშნავდნენ ლაშქარი რაოდენობა-ჯერ აღვამატებოდა საძარბაველს საშვიროსა და მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისა დაახლოებით 300 000 მამარისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.**



რამდენი მოლაშქრე გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80 000 მხედრით გავიდა საბრძოლველად. ეს მონაცემიც გაზვიადებული ჩანს. უფრო დასაჯერებელია მატეოს ურპაეცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მისი მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55 600 მოლაშქრე, აქედან — 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი.

დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდესი უმრავლესობა (ორი მესამედი) ქართველებისაგან შედგებოდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გამომწყვდნენ მთელი ძირითად ძალას ქართულ ლაშქარში სწორედ სამეფო სპა-ქართველები შეადგენდნენ, ყივჩაყთა 40 ათასი მუდმივი მოლაშქრიდან მხოლოდ 15 000 იქნა გამოყვანილი.

ალანები, რომლებიც საქართველოს ლაშქარში იბრძვიან, უნდა შეადგენდნენ დაქირავებულ ლაშქარს, ე.წ. „როქის სპას“. შემთხვევითი არ იყო ხუთასი ოსი მოლაშქრის დაქირავება და საამისოდ თანხის გაღება მაშინ, როცა მეფეს რეზერვში საკმაო რაოდენობის მუდმივი მოლაშქრეები ჰყავდა. ეს, ალბათ, დავით აღმაშენებლის სათანადო ტაქტიკური გეგმის მიხედვით

იყო გაკეთებული და გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. ასევე გარკვეული მიზნით იყვნენ ქართველთა ლაშქარში „ფრანგნი“. ესენი, როგორც ჩანს, ჯვაროსნული ომების დროს სხვადასხვა გზით საქართველოში მოხვედრილი ევროპელები იყვნენ (ს. კაკაბაძე, „დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი“, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1942, გვ. 217).

ისტორიკოსები (თ. დადეშკელიანი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. მესხია და სხვ.), ვინც კი საგანგებოდ შეეხო ამ საკითხს, სრულიად მართებულად მიიჩნევენ, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნები იღებდნენ მონაწილეობას. კანცლერ გოტიესაც აქვს მინიშნებული დავითის ლაშქარში „ფრანგების“ ყოფნის შესახებ. ამგვარად, წყაროების მონაცემები, ისტორიკოსთა დაკვირვებანი და ჯვაროსნებისა და ქართველების იმდროინდელი ურთიერთობა სრულიად დამაჯერებელს ხდის ჯვაროსნების მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში.

თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა, როგორც ყველა წყარო მითითებს, დიდგორთან გაიმართა. ამ დიდგორის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ:

„დიდგორი, მთა თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, დაბა მანგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების — ვერესა და ნიჩბისის წყლის სათავეებში, სიმაღლე 1647 მ. აგებულია ზედა და შუა ეოცენის თიხებით, ქვიშაქვებით, ტუფ-ბრეჩქიებითა და ტუფებით. კალთები დამრეცია, დანაწევრებულია ეროზიული ხეობებით. შემოსილია ნიფლის ტყით. მწერვალზე მეორეული სუბალპური მდელოა. ამ მიდამოებში 1121 წელს მოხდა დიდგორის ბრძოლა“ (ქსე, ტ. III, გვ. 506).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი „მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა“. არაბი ისტორიკოსი აღ-ფარიკი დანერვილებით გადმოგვცემს იმ გზას, რომელიც გაიარეს მუსლიმანთა კოალიციის ჯარებმა. ისინი შემოსულან მანგლისის მიდამოებში და თრიალეთის გზას დასდგომიან. დათქმული იყო, რომ მთელი ლაშქარი თბილისის შესავლელთან შეყრილიყო.

თრიალეთისა და დიდგორის შერჩევა შეკრების ადგილად არ იყო შემთხვევითი. აქედან მტერი ადვილად ნამოვიდოდა თბილისსკენ, დიდგორი თბილისის ერთ-ერთი კარი იყო, საიდანაც შეიძლებოდა მცხეთის შემოვლით შიდა ქართლში შესვლა. ცხადია, მუსლიმური კოალიციის წევრებმა თრიალეთის ბუნებრივი პირობებიც გაითვალისწინეს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შევნიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი“... ე.ი. თრიალეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრის განსალაგებლად სრულიად ხელსაყრელი ადგილი იყო.



ჯვაროსნები დიდგორის ბრძოლაში



დავით აღმაშენებლის სიტყვიდან აშკარა ხდება, რომ ქართული ლაშქარი იდგა ხეობაში, რომლის შესასვლელიც საგანგებოდ ჩაუხრავდა. ეს, რასაკვირველია, საგანგებო ღონისძიება იყო. ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა — ან გამარჯვება, ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი. ამგვარი ქცევა საერთოდ გახდა პატრიოტი ქართველებისთვის ნორმა და უკვე შემდგომი დროის ისტორიკოსები მას წარმოგიდგენენ როგორც დაკანონებულ წესს: „არა არს წასი ჩუან ძართველთა, უკითუ ვინილოთ მტარი ჩუან ძარძო მოვაპალი, შეუბამილად უზრბი შევაძციოთ დაღათუ იყო სიკუდილი“ (ყამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 604). დიხ, ზურგშეუქცევლობა ოდიდგანვე მოსდგამდათ ქართველ პატრიოტებს და როცა ყამთააღმწერელი ამბობს „არა არს წესიო“ იქნებ სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდგომ პერიოდს გულისხმობს იგი.

როდის გაიმართა დიდგორის ბრძოლა? „ცხოვრება მივეთ-მეფისა დავითისი“-ს XV და XVIII საუკუნეების გადახანგრებში 18 აგვისტოა დასახელებული. ს. ყაუხჩიშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ეს თარიღია — „და აგსტოსა თურამეტსა მოვიდეს თრი-ალეთს, მანგლისა და დიდგორთა“ (ტ. I, გვ. 341). XVII საუკუნისა და XVIII საუკუნის ზოგიერთ ხელნაწერში 12 აგვისტოა მითითებული ბრძოლის დაწყების თარიღად. როგორც ვარაუდობენ, დავით აღმაშენებლის თხზულების თავდაპირველ ხელნაწერში სწორედ 12 აგვისტო ყოფილა. ამ მოსაზრებას ამარტობს ის ფაქტი, რომ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს სომხურ თარგმანში, რომელიც, მკვლევართა აზრით, XII საუკუნეში შესრულებულია, 12 აგვისტოა დასახელებული ბრძოლის თარიღად. აქ საგულისხმოა მატეოს ურპაეცის მონაცემებიც, რომელიც არა მარტო რიცხვსა და თვეს, არამედ ბრძოლის დღესაც ასახელებს, მისი მიხედვით დიდგორის ბრძოლა ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათ დღეს მოხდა. 1121 წლის აგვისტოში, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათი დღე იყო თორმეტი რიცხვი. ამგვარად, ქართული და სომხური წყაროების შეჯერების შედეგად ზუსტად განისაზღვრა დიდგორის ბრძოლის თარიღი — 1121 წლის 12 აგვისტო.

ჩვენ ვერ ვხედავთ წინააღმდეგობას დიდგორის ბრძოლის დაწყების შესახებ წყაროთა მონაცემებში. გოტი გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ რაზმებს თავისი ადგილი მიუჩინა. ფრანგი (ჯვაროსნები) მეომრები მონინავეში დააყენა პირველ დაკვრათა მისაცემად. მისვე ხეობის მეორე ნაწილში ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიფინით, ცხენთა და ამბჯართა უკიდურესი ხმაურით, ურჯულდობი ზარდაძევი ბაირალებით ჩნდებიან, და იმავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურს მთა და ბარი ბანს აძლევენ, ხოლო მეფე დავით მოთმინებითაა. თავისიანებს ამხმევენ და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ ურჯულთა გამაყებულნი სიმრავლე, ძალითა და შეწვევითა წმინდა ჯვარისა, ნაკლებს ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უადრესი ყიფინით თავს დაესხნენ მათ. ხოლო უფლის ძალით, პირველ შეტაკებისთანავე ბრმავდებიან და გაქცეულნი იფანტებიან. ბოროტნი ქრისტეს-მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიან; ომის მნახველთა ცნობით, სამი დღის მანძილზე გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ.

თვით ელლაზი თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, ღვთის ნებართვით მცირეოდენ ლტოლვილით უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით, სახლში დაბრუნდა ნახევრად მკვდარი (გოტიე-კანტლერის „ანტიოქიის ომები“, ნიგნში: ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929, გვ. 67). მოყვანილი მასალიდან ნათელია, რომ დავითის მოლაშქრეებმა გარკვეულ მანძილზე მოუშვეს მტერი და შემდეგ „თავს დაესხნენ მათ“. ე.ი. გოტიეს ცნობით, შეტევაზე პირველი ქართველი მოლაშქრეები გადავიდნენ (მდრ. შ. მესხია, „ძლევაჲ საკვირველი“, გვ. 111).

მატეოს ურპაეცის, ალ-ფარიკის, იბნ-ალ-ასირის ცნობებითაც, შეტევა ქართველ მოლაშქრეებს დაუწყიათ. იბნ-ალ-ასირი მეტად საინტერესო ცნობას გვანვდის ლაშქრობის დაწყების შესახებ. არაბი ისტორიკოსის თხზულების პ. ყუზნესეულ რუსულ თარგმანში ასეა მოცემული: „Встретившись, обе армии выстроились, чтобы сразиться. Выступили вперед двести человек кипчаков. Мусульмане подумали, что они хотят сдаться по аману и поэтому не приняли необходимых мер предосторожности, смешались с ними и были втречены стрелами. Ряды мусульман пришли в расстройство и поэтому те, которые стояли дальше, вообразив, что началось бегство, обратились (также) в бегство. Войска бежали друг за другом, и из-за сильной давки, сшибали друг друга, вследствие чего многие из них были убиты. Неверующие (ქართველები, მხედველობაში — რ. მ.) преследовали их на расстоянии десяти фарсаков, убивая их забирая в плен. Большинство их (мусульманских войск) было перебито и было взято в плен четыре тысячи человек, но царь Торгул, Иль-Гази и Дубаис спаслись...“ (Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Каимль (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Перевод П. Жузе, Баку, 1940) გვ. 123).

იბნ-ალ-ასირისა და გოტიეს ცნობები 200 მეომრის დაწინაურებისა და მათგან ბრძოლის დაწყების შე-

სახებ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა გოტიე ამ მეომრებს ფრანგებად (ჯვაროსნებად) მიიჩნევს, ხოლო იბნ-ალ-ასირი — ყიფჩაყებად. დავით აღმაშენებელს, როგორც ჩანს, მართლაც გამოუყენებია ეს ტაქტიკური ხერხი, საქართველოს მეფის ამ ჩანაფიქრს ყურადღება მიექცევს სამხედრო ხელოვნების ისტორიის მკვლევრებმა და ამგვარი ნაბიჯი ბრძოლისას იმ ეფექტურ ნაბიჯად მიიჩნიეს, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველთა წარმატებას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ.

მართებულად მიგვაჩინა შ. მესხიას დაეჭვება ორასი მეომრის ვინაობის შესახებ. დავით აღმაშენებლის მიერ ღრმად ჩაფიქრებული ეს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლის წარმართვისა და შედეგისათვის, ამასთან დიდ წვრთნასთან ერთად რისკსა და თავგანწირვასაც მოითხოვდა, ძნელად დასაჯერებელია, ყიფჩაყებისათვის ან ფრანგებისათვის (ჯვაროსნებისათვის) მიეძღოთ. რაც შეეხება გოტიეს მიერ მათ ფრანგებად (ჯვაროსნებად) მოხსენიებას, ეს არის ანტიოქიის ფრანგი კანცლერისაგან გასაკვირი; ხოლო თუ იბნ-ალ-ასირის თხზულებას ჩაუყვირდებით, ვნახავთ, რომ იგი მთელ ქართულ ლაშქარს „ყიფჩაყთა ჯარს“ უწოდებს და მისთვის, ბუნებრივია, შენიშნავს 200 მეომრის ყიფჩაყები იყვნენ.

შეიძლება ჩვენ არც მიგვეცია განსაკუთრებული ყურადღება ამ ორასი მეომრის ვინაობისათვის და მათი როლისათვის დიდგორის ბრძოლაში, მაგრამ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა აუცილებლად მო-



დიდი ჯახი

ითხოვს გარკვეულ კომენტარს. აი რას წერს ს. კაკაბაძე: „გოტიეს ამ მეტად საყურადღებო ცნობაში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს, რომ ომის ბედი ორასმა ფრანგმა (ევროპელმა) გარდასწყვიტა. ეჭვს გარეშეა, აქ იგულისხმებიან ევროპელი რაინდები, რომლებიც დავითის სამსახურში იმყოფებოდნენ და რომელიც მოქმედებდნენ ქართველ რაინდებთან ერთად, რომელთა რიცხვი რამდენიმე ასი, და შესაძლებელია, ერთ-ორი ათასი უნდა ყოფილიყო (იგულისხმებიან მძიმედ შეიარაღებული და საუკეთესოდ განვრთნილი რაინდები). მართლაც, საესებით შესაძლებელია, რომ დიდგორის ბრძოლაში ამ მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს გარდაამყვები როლი შეესრულებინათ...“ (ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ქუთაისი, 1942, გვ. 217).

1982 წელს გამოვიდა ს. კაკაბაძის ნიგნი „დიდგორის ომი“, რომელშიც მეცნიერი შეეხო აღნიშნულ საკითხს და დააზუსტა ზოგიერთი გარემოება. კერძოდ განმარტა, რომ, მისი აზრით, დიდგორის ომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მძიმედ შეიარაღებულმა რაინდებმა, რომელთაგან ორასი ევროპელი იყო და 1-2 ათასი ქართველი (ს. კაკაბაძე, დიდგორის ომი, თბ., 1982, გვ. 12). ეს ერთგვარად ცვლის ვითარებას, თუმცა გაურკვეველია, საიდან (წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი) აიღო მეცნიერმა ქართველ რაინდთა (მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ) რაოდენობა.

დავუბრუნდეთ დიდგორის ბრძოლის მსვლელობას. როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებლის მიერ წარგზავნილმა ორასკაციანმა რაზმმა თავისი მისია შეასრულა: დააბნია მტერი და არეუ-დარევა შეიტანა მის რიგებში. მაშინ საქართველოს ლაშქარმა მონააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია. „მეფემან დავით უშიშვან და ყოვლად უპრავან გულითა... წინა განაწყო სპა მისი, და... ყოველი სპამი უშენიარად

და ღონიარად ყო“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 324). ალ-ფარიკის მიხედვით, დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. მთავარ ძალებს მეფე ედგა სათავეში, ხოლო ლაშქრის ნაწილს მეფის მემკვიდრე დემეტრე დავითის ძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და მთის ძირას დაბანაკებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია. მატეოს ურპაეცი ხატოვნად გადმოგვცემს ბრძოლის მიმდინარეობას: „იქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის, ისე, რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისაგან ეს მთები იძახოდნენ“...

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ალფრთოვანებით წერს, რომ მეფემ „წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“ ბრძოლის საქმე. პირველი შებრძოლებისთანავე მტრის ბანაკი შეირყა, აიყარა და გაიქცა. ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობებს მატეოს ურპაეციც ადასტურებს. სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ „იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამონყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვაშებით მდინარენი და მთათა ხეხები და ყოველი მთათა ქარაფის დაიფარნენ“. თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის მწარე მარცხს ვერც მუსლიმის ისტორიკოსები ფარავენ. ალ-ფარიკი აღნიშნავს, რომ „მოიკლა მუსლიმთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეული იქნენ“. იბნ ალ-ასირის ცნობით, „მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე“.

დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი მიუთითებს იმ დიდ ზარალზე, რომელიც თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა განიცადა. დიდძალი ტყვე და ალაფი იდგეს ხელთ ქართველებმა („რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ“). დიდგორის ბრძოლის დროს შეპყრობილი ზოგიერთი ტყვე ცოცხალი იყო ალ-ფარიკის საქართველოში ყოფნის დროსაც (დიდგორის ბრძოლიდან 30-ზე მეტი წლის შემდეგ).

დავით აღმაშენებლის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა „მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნა და მოსრნა, რომლითაც აღივსნეს ველნი, მთანი და დღეიანი მძორებითა“. რა თქმა უნდა, საქართველოს მოლაშქრეთა შორისაც იქნებოდა გარკვეული მსხვერპლი, მაგრამ ეს მტრის ლაშქართან შედარებით იმდენად მცირე ყოფილა, რომ ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, დავით აღმაშენებელმა „თჳსნი სპანი დაიცივნა უფნებლადო“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უიდი ალტაეცობი გადმოგვცემს: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა, ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სსუთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, — რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტოოს აღწერად“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 325).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით დიდგორის ძირითადი ბრძოლა სამი ჟამამდე (საათამდე) გაგრძელდა. შემდგომში დროის ისტორიკოსები ადასტურებენ, რომ დიდგორის ბრძოლაში დამარცხებული არაბთა მეფისათვის — დუბეისისათვის წართმეული ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი, დავით აღმაშენებელს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“). „ღმრთისა სახსენოდ და საბედლობელად ძლევისა მის საკვირველისა“ დავით აღმაშენებელს გელათისათვის სხვაც მრავალი ძვირფასი ნივთი და ბევრი ტყვე შეუწირავს. ქართველთა ლაშქრისა და მისი სარდლობის დამსახურება ის იყო, რომ გაქცეულ მტერს შეკავშირებისა და გაერთიანების საშუალება არ მისცა. ასე რომ, დამარცხებულითა დევნა მნიშვნელოვანი ეტაპია დიდგორის ბრძოლაში. ზოგი ცნობით, საქართველოს მოლაშქრეებმა ილაზის ჯარებს ანისის საზღვრამდე რვა დღეს სდიეს (მატეოს ურპაეცი). გოტიეს ცნობით, დევნა სამ დღეს გაგრძელდა, რომლის დროსაც მტერმა უფრო დიდი ზარალი ნახა, ვიდრე ბრძოლის დროს. იბნ ალ-ასირის მიხედვით, ქართველებს მტერი საზღვრიდან 10 ფარსაგის (დაახლოებით 70 კმ) მანძილზე გაუდევნიათ. ქართველთა ამ მოქმედებამ მტერს კონტრშეტევის ყოველგვარი საშუალება მოუხსო და მისი სრული მარცხი განაპირობა.

**ამრიგად, ძართველთა მოლაშქრეთა 1121 წლის 12 აგვისტოს მუსლიმურ კოალიციურ ჯარებთან გამარჯვებულმა ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ეს დამოუკიდებლობისა და თვითმფრინველთა სათემის მებრძოლი ძართველი ხალხის გამარჯვება იყო; გამარჯვება, რომელიც ძალუბრად ეხმარებოდა კავკასიის ხალხთა ინტეგრაციას — მათ ერთობლივ ბრძოლას უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.**

**ანონსი**  
**მოაპაალ ოთხშაბათს,**  
**7 ივლისს, ნაიკითხეთ:**  
**„თბილისის შემოერთება“... |**





ციალურად აღიარა ორი ქართული ავტონომიის დამოუკიდებლობა, რითაც ხელყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რასაც არც ხელისუფლება, არც ქვეყნის მოსახლეობა არასდროს არ შეურიგდება.

თქმა არ უნდა, რომ კრემლის მიერ აფხაზეთისა და ენ.

# „რობერტ სტურუა მოსკოვს „იყრობს“ ...

**მოსკოვში ჩახოვის ფესტივალში რუსთაველის თეატრის მსახიობთა მონაწილეობის შესახებ**

ძმარტველ საზოგადოებაში კვლავ დიდი ვნებათაღვლევაა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, როდის ყოფილა უამისობა? საბაბის მოძებნას ხომ არაფერი უნდა, აუარება მიზეზი ყოველ ფეხის ნაბიჯზე! ამ ჯერზე ვნებათა მოზღვავეების მიზეზი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის დასის რეჟისორ რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით მოსკოვში წასვლაა.

რობერტ სტურუა – მსოფლიო დონის რეჟისორია. ნებისმიერ თეატრალურ აფიშაზე მისი სახელის გამოჩენა სპექტაკლის ანშლავის, წარმატების და აღფრთოვანებული მაყურებლის საწინდარია. ექვტი არ არის, რომ არც ახლო მომავალში მოსკოვში ა. ჩეხოვის სახელობის გაერთაშორისო ფესტივალისა და მონაკლისი, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური დასები მიიღებენ მონაწილეობას.

რუსეთის დედაქალაქში ქართული თეატრი თავის საპრემიერო სპექტაკლს **სემუელ ბეკეტის** პიესას **„თამაშის დასასრულს“** წარადგენს.

„ხელისუფლების წარსადგენად მივდივარ. მივდივარ იმის საჩვენებლად, თუ რის გაკეთება შეუძლია სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილ საქართველოს, რომელშიც რუსეთის წყალობით აღმოჩნდა“, – განაცხადა მოსკოვში გამგზავრებამდე **რობერტ სტურუამ** და შემდეგ დასძინა: **„ჩვენთვის დიდად სასიამოვნოა, რომ საშუალება გვქონება მოსკოველ მაყურებელს ჩვენი ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი წარვუდგინოთ. ესაა არაჩვეულებრივი ავტორის არაჩვეულებრივი პიესა და, ვფიქრობ, რომ მასში მსახიობებიც ურიგოდ არ თამაშობენ“.**

„თამაშის დასასრული“ – ერთობ რთული პიესაა და ჩვენ მოსკოველი მაყურებლის ნატიფი გამოვნიების იმედი გვაქვს, რომელსაც ყურის დაგდებაც უყვარს და განსჯაც ხელენიფება“, – განაგრძობს რეჟისორის აზრს თეატრის მსახიობი **ნანა ფაჩუაშვილი**.

თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად როდია. ქართველი საზოგადოებრიობის ნაწილი აკრიტიკებს თეატრის მსახიობებსა და მის რეჟისორს მოსკოვში გამგზავრებისთვის. კრიტიკოსები გვახსენებენ, რომ რუსეთმა ოფი-

სამხრეთ ოსეთის აღიარება კვლავაც რჩება გადაუღებავ წინააღმდეგობად ქართულ-რუსულ ურთიერთობათა ნორმალის გზაზე. თუმცა, ამ პრობლემას კიდევ ერთი მხარე აქვს. ოფიციალური მონაცემებით, რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს დაახლოებით მილიონი საქართველოს მკვიდრი, რომელიც ყოველთვის ურად ქვეყანაში მნიშვნელოვან სავალუტო სახსრებს რიცხავს და ეს გარემოება არც უხერხულობას უქმნის ვინმეს და არც ალაშქრობებს, მეტიც, ყველანი მიესალმებიან. ყოველწლიურად საქართველოში უამრავი რუსი ტურისტი ჩამოდის, რომლებიც მოგზაურობისას დიდძალ ვალუტას ხარჯავენ, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის საკმაოდ სოლიდურ ნაწილს შეადგენს და გარემოებაც თითქოს არც არავის აღიზიანებს. ასევე გაგებთ ეკი-



დებიან სხვადასხვა შეჯიბრებებზე რუსეთში ქართველ სპორტსმენთა გამგზავრებას – დე, წავიდნენ, გაიმარჯვონ და რაც უფრო ხშირად იყვინებენ რუსეთში მათ საპატივცემოდ საქართველოს შიში, მით უკეთესი.

თქმა არ უნდა, ეს სწორი მიდგომაა! მაშ, რატომაა, რომ ასეთი გაღიზიანებას იწვევს მოსკოვში ჩეხოვის თეატრალურ ფესტივალზე საქვეყნოდ ცნობილი თბილისური თეატრის გამგზავრება? რა გამოდის, რუსეთში ფულის მოვნა შეიძლება, საქართველოში რუსი ტურისტების მოზიდვა კარგია, მოსკოვსა თუ, ვთქვათ, ყაზანში სხვადასხვა სინჯის მედელების მოპოვება – კი, ბატონო, მაგრამ თეატრის მოსკოვში გამგზავრება – ნურას უკაცრავად?! განა ეს დიდი უცნაურობა არაა?!!!

თუმცა, ბევრი თეატრს მოსკოვში აპლოდისმენტებით აცოლებენ და ჩეხოვის ფესტივალზე რუსთაველის თეატრის დასს დიდ წარმატებასაც უსურვებენ.

საგულისყურია, კრიტიკოსები როგორღა ხვდებიან ამ ამბავს? აი, რა დანერა ფეისბუქში ამის თაობაზე ერთ-ერთმა მომხმარებელმა **მატო შაპარაშვილმა**:

„მათ, ვინც ამჟამად კრულვას უთვლის თეატრსა და მის დიდ რეჟისორს მოსკოვში გამგზავრების გამო, მინდა ვკითხო: თავად

თქვენ რა შეჰმატეთ ქვეყანას? ერთი აგური მაინც თუ დაგიდგიათ მისი დიადემის კედელში? რომელ ომში გიომიათ ან თქვენ, ან თქვენს მშობლებსა თუ შვილებს? ერთადერთი, რაც შეგიძლიათ, ესაა შარვალჩანდილებმა შეშველი უკანალები მიუშვიროთ ოკუპანტებს, როგორც ეს პარტია „გირჩის“ წარმომადგენლებმა ჩაიდინეს ორიოდე წლის წინათ ოკუპანტების დასანახად. რა სარგებელი მოუტანეთ თქვენი საქმეებით საქართველოს? არც არავითარი, თქვენგან მხოლოდ ზინიანა თქვენ ეთაყვანებოთ პარტიას, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში სამარცხვინოდ დაკარგა ჩვენი ტერიტორიები, გაიქცა ბრძოლის ველიდან, სადაც მტერს სამარცხვინოდ მიუგდო საჯიჯგნად ჩვენი დაღუპული მეომრების ცხედრები, მერე კი დიდი ზარზე იმით აღნიშნა რუსთაველის პროსპექტზე მითიური „გამარჯვება“ იმ ხუთდღიან ომში, რომლის დროს მავანმა ფული იშოვა, რომელსაც დღესდღეობით თავის მომხრეთა ამჟამინდელ „სამოქალაქო აქტივობის“ შესანარჩუნებლად ხარჯავს.

სამხედრო დამარცხების შემდეგ თქვენ ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსი გადაეცით რუსეთს, რადგან, როგორც თქვენი „იმაში“ მიხეილ სააკაშვილი იძახის – ფულს სუნი არა აქვსო!.

მეტიც, 2018 წელს თქვენ სცადეთ პრეზიდენტის საგარეო უწყის ჩაგვსვით თქვენი პროტეჟე-

მაგრამ არ გამოგივიდათ და არც არასდროს გამოგივიდათ!

განა რომელიმე ქუაბთ-მყოფელი ადამიანი დაიჯერებს თქვენი ტელეარხის „ფორმულას“, „პატრიოტულ“ მონადებებს, რომელსაც საქართველოდან გაქცეული თავდაცვის ყოფილი მინისტრი კეზერაშვილი აფინანსებს რუსეთ-საქართველოს ომში გაკეთებული ფულით?!

აი, ასეა საქმე, ბატონებო!

მაინც რას ფიქრობს განვითარებული თეატრალური დრამის შესახებ საქართველოს ხელისუფლება? ერთ-ერთი უურსაღიზიანებელი შეკითხვაზე, თუ რამდენად აქვთ უფლება ქართულ თეატრებს გამოვიდნენ იმ ქვეყნების სცენებზე, რომლებთანაც საქართველოს, რბილად რომ ვთქვათ, არც მთლად კეთილი ურთიერთობები აქვს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **თია წულუპიანმა** თქვა:

„როგორც ვხვდები, თქვენ რუსეთის ფედერაციაში ჩასატარებელ საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის შესახებ მეკითხებით, რომელში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი რუსთაველის თეატრი მიემგზავრება. ჰოდა, მეც გიპასუხებთ: თეატრი თავად წყვეტს, თუ რომელ თეატრალურ ფესტივალზე უნდა წავიდეს. სწორედ ამას ჰქვია შემოქმედებითი თავისუფლება. ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა თეატრი და მათი სამხატვრო ხელმძღვანელები თავისუფალი არიან. ჩვენს კულტურის სამინისტროში ცენზურა არ არსებობს“.

ამაზე მკაფიოდ და გასაგებად რომც გინდოდეს, კაცი ვერ იტყვის! რუსთაველზე! მაშ, წარმატებულ გამოსვლებსა და მხურვალე ოვაციებს გისურვებთ!..

**ვადია ანასტასიადი,**

გაგამო „ვინაინტი ტაილსის“ მთავარი რედაქტორი.



## ლაჰვილის ბაჰულის ჩააბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულდა...

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა ქალაქ ლევილის მერთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ლევილის ქართული მამულის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის დასასრულის აღსანიშნავ ცერემონიაში, რომლის ფარგლებშიც საზეიმოდ გაიხსნა რეაბილიტირებული ენ. ორანჟერის შენობა.

საზეიმოდ ლონის-ძიებას ისტორიული დიასპორის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები, საქართველოს საელჩოს და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ლონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა ისტორიული მამულის მნიშვნელობას როგორც ქართული იდენტობის, ასევე ევროპაში საქართველოს შემდგომი პოპულარიზაციისთვის.

„2016 წელს ლევილის მამული საქართველოსთვის გადმოცემით, აღსრულდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა სურვილი და ანდერძი – ლევილის მამული დაბრუნებული და თავისუფალ საქართველოს გადაეცემოდა. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართული ემიგრაციის უდიდეს პატრიოტიზმს და თავდადებას საქართველოს მიმართ. მამულის გადმოცემის შემდეგ მთავარი საზრუნავი მისი ისტორიული როლის და დანიშნულების გააზრება იყო, რაც აისახა ქართული კულტურის კერის შექმნის იდეაში, რომელიც შეი-

წარჩუნებდა მის ისტორიულ მნიშვნელობას და, ამავდროულად, შეიქმნა ახალ, მომავალზე ორიენტირებულ დანიშნულებას“, – განაცხადა მინისტრმა.

მინისტრის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში, მამულში ქართველი და ფრანგი ექსპერტების ჩართულობით დიდი მოცულობის სამუშაოები – როგორც ტექნიკური, ასევე ორგანიზაციული ხასიათის – განხორციელდა, ხოლო პროექტის

ძირითადი – შატოს რეაბილიტაციის და ახალი მშენებლობების ნაწილი – მეორე ეტაპი, უახლოეს მომავალში დაიწყება. საქართველოს მთავრობის გადანაცვლებით, მამულის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მეორე ეტაპს სათავეში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ჩაუდგება. გადანაცვლება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ პროექტის მომდევნო ეტაპი ძირითადად, კულტურული კომპონენტების განხორციელებას, რაც აუცილებელს ხდის მის წარმართვას კულტურის სამინისტროს მიერ.

დავით ზალკალიანმა ლევილის მამულის რეაბილიტაციის სამომავლო საქმეში კოლეგას – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, თეა წულუკიანს წარმატება უსურვა. მან ასევე მადლობა გადაუხადა ფრანგულ მხარეს.

„2016 წელს ლევილის მამული საქართველოსთვის გადმოცემით, აღსრულდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა სურვილი და ანდერძი – ლევილის მამული დაბრუნებული და თავისუფალ საქართველოს გადაეცემოდა. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართული ემიგრაციის უდიდეს პატრიოტიზმს და თავდადებას საქართველოს მიმართ. მამულის გადმოცემის შემდეგ მთავარი საზრუნავი მისი ისტორიული როლის და დანიშნულების გააზრება იყო, რაც აისახა ქართული კულტურის კერის შექმნის იდეაში, რომელიც შეი-

## თეა წულუკიანი: მომავლო ოთხ-ხუთ წელიწადში ლაჰვილის ბაჰულის საკოლოდ უნდა შექმნათ კულტურისა და ისტორიის კერა

მას შემდეგ, რაც 2016 წელს ლევილის მამული დაუბრუნდა საქართველოს, ჩვენი მთავრობის და ასევე სხვადასხვა უწყებების წარმატებული ჩართულობით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველი ფაზა მიიყვანა წარმატებამდე, ამ ფაზის შემდეგ უკვე ლევილის მამულის სამომავლო პროექტის მართვა გადმოდის კულტურის სამინისტროში, – ამის შესახებ კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა.

„ლევილში, ამ ქართულ მამულში, ჩვენ აღვნიშნავთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად ჩატარებულ ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოს და ამ პირველი ფაზის წარმატებით დაგვირგვინებებს. მას შემდეგ, რაც 2016 წელს მამული დაუბრუნდა საქართველოს, ჩვენი მთავრობის და ასევე სხვადასხვა უწყებების წარმატებული ჩართულობით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველი ფაზა მიიყვანა წარმატებამდე. ამ ფაზის შემდეგ უკვე ლევილის მამულის სამომავლო პროექტის მართვა გადმო-

დის კულტურის სამინისტროში და, რა თქმა უნდა, ჩვენი ვიზრუნებთ იმაზე, რომ სწორედ ასეთი წარმატებით განხორციელდეს ამ პროექტის ყველა სხვა ეტაპიც. იმ ოჯახების მიერ, რომლებმაც გადმოიხსნეს საქართველოს მამული, მიცემული გვექნება 10-წლიანი პერიოდი, შესაბამისად, ჩვენ მომდევნო ოთხ-ხუთ წელიწადში საბოლოოდ უნდა შევქმნათ საფრანგეთის ამ ქართულ მამულში კულტურისა და ისტორიის კერა“, – განაცხადა წულუკიანმა.

ამასთან, მინისტრმა ლევილის მამულიდან სამძიმარი გამოუცხადა პიკო ნიჟარაძის ოჯახს. „დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლევილში და მინდა ლევილიდან მივუსამძიმო პიკო ნიჟარაძის ოჯახს, ყველა იმ ადამიანს, ვინც განიცდის ამ უმძიმეს დანაკარგს და ვუთხრა ის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველას გვაქვს განცდა, რომ მისი წასვლით ერთი დიდი ხანა დასრულდა, უნდა გავაგრძელოთ ზრუნვა, რომ მისი შემოქმედება დარჩეს ცოცხალი“, – აღნიშნა მინისტრმა.



2021 წელს საქართველოში ფასების საერთო დონემ რეკორდულად მოიმატა. მისში წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა ქვეყანაში 7,7 პროცენტი შეადგინა.

გაზაფხულისა.

მართალია კოვიდდემიამ ბიუტურული ნაკეთობათა სანარმოს ფინანსური შესაძლებლობები ყუამდე დაიყვანა, მაგრამ თავად ამ სანარმოს თავკაცის, მეტსახელად მოკლე გოგიას ჭამა-ყლაპვისა და ლვინო-არყის ყლურწვის ტემპი ოდნავადაც ვერ შეანედა. იმ დღესაც, როცა ამ ამბავს შევესწარი, დირექტორი სანარმოში საქმიანი კაცის იერით წინ და უკან მორბენალ ბრიგადირს მორიგ დავალებას აძლევდა:

- ვალერა, ბიჭო, ვიდრე მზე საშუაღღოზე წამოვიდოდეს, გავარდი გიგუშას კაფეში და ცხელი ხინკალი მოარბენინე!
- ხინკალს, ჩემო ბატონო, ვილაც რუსი ტურისტი მოუნამლავს. ამიტომ შემინებულან და აღარ აკეთებენ.
- მაშინ „ბათუმელა“ ლობიო მაინც ექნება, თან კომბოსტოს წნილიც გამოაყოლე.
- ლობიო ჯერ მოხარშული არ ექნება, წნილი კიდე, როგორც ვიცი, მაშინვე გაუთავდა.
- ჰო, აბა, განყვიტე ყველაფერი, - ინყინა მოკლე გოგიამ, - ფენოვანი მაინც არ ექნება?
- ფენოვანი ხაჭაპური, ჩემო ძამია, უკვე 3 ლარი გახდა. ესეც არ იყოს, რამდენჯერმე გამაფრთხილა, ნისიად ველარაფერს მოგცემო.
- ეგრე არა, იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ნისიადაც აღარ იძლევიან? - შეუღრინა უფროსმა ბრიგადირს, - ხო გაფრთხილებდი, საკუთარ რეიტინგს გაუფრთხილდი-

ინფლაცია არ იყილება!

მეთქი?
- შენ თავქეფს დააბრალებ ყველაფერი, - შეხვედა ვალერამ, - ჩემი რეიტინგი რა შუაშია?
- შენ ხომ არ გაურიალებს, ჯეელო! - აზიდა წარბები მოკლე გოგიამ, - გამოდის, რომ მე ვევიფობ და შენ რეიტინგი გეკარგება? დაუფიქრდი, რას ამბობ, ტო!

- ამას რა დაფიქრება უნდა, ადრე ყველაფერს ნისიად ვევიფობოდი და აღარავინ მენდობა.
- თუ აქამდე გენდობოდნენ, ახლა რა მოხდა, ლამაზო? - დაუყვავა უფროსმა.

- ის მოხდა, რომ ლარი გაუფასურდა და ყველაფერი ინფლაციამ შეჭამა. ერთი თვის წინათ მირთმეულის ფულს რომ დღეს გადაიხდი, იცი, ზარალი სად ურტყამს?
- კარგი, ჰო. ცარიელა არაყი მაინც გამოართვი! - უკან დაიხია მოკლე გოგიამ.
- მარტო არაყს არ იძლევიან.
- რატომ, ეგეც გაინფლაციურდა?
- არა, უბრალოდ კლიენტის მადის გასაძლიერებლად ვიყენებთ და ეგ რომ არ გვექონდეს, კერძების ნახევარიც არ გაგვეყიდებოდაო.

- ვალერა, ერთი ეგ მითხარი, ეს ინფლაციაა თუ რალაც ჩემი ფეხები, საიდან აიკიდე?
- ავიკიდე კი არა, სულ ვეხვეწებოდი უფროსთან გამომყვი, შენი გაცნობა უნდა-მეთქი, მაგრამ უარზე იდგა. რა აკიდება უნდა, შეხვალ თუ არა მალაზიებსა თუ ბაზრებში, უმალ ფეხდაფეხ აგდევენება და მანამდე არ მოგცილებდა, ვიდრე უკანასკნელ გროშს არ გამოგხრავს.



- მაგას ვუტირებ ყოფას, - დაიქადა მოკლე გოგიამ, - თუ აქ მასეთი ფასი აქვს, ერთიანად მოვწყვიტავ და ევროპაში გავატან საექსპორტოდ. - ესა თქვა და მეორე დღეს ნავთლულის ბაზარს მიადგა.

- მობრძანდით, ბატონო, რას ინებებთ? - შეიპატიჟეს აქეთიქიდან მოვაჭრებმა.
- ინფლაციას დავეძებ, ხომ არ გექნებათ?
- მაგის მეტი რა გვაქვს, შე კაცო, - გაამხნევა მუშტარი ულვაშა გამყიდველმა, - ბაზარი ყელთამდე სავსეა ინფლაციით. ივაჭრე რამდენიც გაგხარდება.
- აგაშენა ღმერთმა, - ამოისუნთქა მოკლე გოგიამ, - მიობტა, რაცა გაქვს, სულ ერთიანად ავიღებ.
- ვერ მოგყიდი, - იუარა ულვაშამ.
- რატო, კაცო, ავი ბევრიო?

- ჰო, მაგრამ ცალკე ინფლაცია არ იყილება.
- აბა, როგორ ვიყიდი?
- მხოლოდ პროდუქტებთან ერთად, რასაც ხელს დაადებ, ყველას თავისი წილი ინფლაცია მოჰყვება.
- არა, მე წილი კი არა, საკუთრივ ინფლაცია მინდა.
- ვაა, ეს ვინა ყოფილა, - განერვიულდა ულვაშა, - ხო გითხარი, ცალკე ინფლაცია არ იყიდება.
- რატომ არა, ვინ ავიკრძალათ?
- ვინა და მთავრობამ, - თუ ვინმემ პროდუქტი უინფლაციოდ გაყიდა, დიდ ჯარიმას ავიკიდებო.
- რისთვისო, არ უთქვამთ?
- აბა რა ვიცი. ამ მთავრობისას რას გავიგებ, არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, თვით ამერიკაშიც კი, ინფლაცია ცალკე არ იყიდება და ჩვენ რა გამოწკლის ვართო.
- გასაგებია, - თქვა მოკლე გოგიამ, - მოვაჭრეებს ამით გაბამენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო აქციები არ მოაწყობ, არა?

- არ ვიცი, ძმაო, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, - მოიბოდიშა ულვაშამ, - მაგრამ ამდენი ლაპარაკის შემდეგ ნუთუ ბოლოკს მაინც არ იყიდი?
მოკლე გოგია ამ კითხვამ ინფლაციაზე მეტად დააბნია, უხერხულად შეიშუშუნა, უნდოდა ეთქვა, საყიდლებზე ხვალ ვალერას გამოვგზავნი, მაგრამ გაახსენდა, რომ ვალერას მასავინ რეიტინგი ჰქონდა დაკარგული და ბაზრიდან სასწრაფოდ გაიძირნა...



ოთარ სუციოვილი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

საქმე №01-120/2021

დ. თბილისი

28 ივნისი, 2021 წელი

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი მ:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ შპს „რენტა +“-ის და შპს „PP“-ის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაეგზავნათ მოპასუხეებს, მაგრამ ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაბარდათ მისამართების შეცვლის გამო.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გახეთის საშუალებით, რომელიც მასობრივად გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესახებ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გახეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს სარჩელში მითითებულ და არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართებზე გაგზავნილი სარჩელის ასლი, თანდართულ მასალებთან და არბიტრაჟის უწყებასთან ერთად ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მათ სარჩელის და საქმის

განხილვის თარიღის თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

ს ა რ ბ ი ტ რ ა ჟ ი უ ც ი ო ნ ა წ ო ლ ო ვ ი ხ ე ლ მ დ ვ ა ნ ე ლ ე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

დ ა ვ ა დ ბ ო ნ ე მ :

1. მოპასუხეებს შპს „რენტა +“-ს და შპს „PP“-ს საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმომავალი ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საარბიტრაჟო სარჩელი შპს „რენტა +“-ის და შპს „PP“-ის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო მ ო თ ხ ო შ ვ ა :

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე შპს „რენტა +“-ს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ დაეკისროს საკრედიტო დავალიანების 62805.69 აშშ დოლარის, გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელის 7502.53 ლარის და საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლების საფასურის 11 ლარის გადახდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად დადგინდეს ქ. თბილისში, ილ. ჭავჭავაძის გამზირი 29, სართული 8, ბინა 82 (ს/კ 01.14.14.012.027.01.04.082) მდებარე შპს „PP“-ს საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია იძულებით აუქციონზე.

იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით სრულად არ დაკმაყოფილება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოთხოვნა, აღსრულება მიეკცეს შპს „რენტა +“-ს კუთვნილ სხვა ქონებაზე. ამასთან, საჯაროდ დებულ არ არის, რომ ბანკმა პირველ რიგში იძულებითი აღსრულება დაიწყოს იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთზე. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს შპს „რენტა +“-ს კუთვნილ სხვა ქონებაზე.

2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს სა-

არბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი წარმოადგინოს წერილობითი შესაგებელი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:

- ა) მხარეთა სახელწოდებები;
ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);
გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებელში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;
დ) შესაგებელზე (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.

3. მოპასუხეებს ეცნობოთ, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2021 წლის 14 ივლისს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

4. მოპასუხეებს განემარტოთ, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განხილვას დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადევას.

5. მოპასუხეებს ეცნობოთ, რომ საქმეს განიხილავს არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მათვე განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვთ გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართონ არბიტრაჟს საქმის განხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

6. მოპასუხეებს განემარტოთ, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. მოპასუხეებს განემარტოთ, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0>

8. დადგენილება გამოქვეყნდეს გახეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

9. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.



ნიგოზსოვა



ალექსანდრა ნიგოზსაძე

საიპე სინჯის თითო მედალი

ლიფიკაციო შეჯიბრებისას მან დისტანცია 4.09.017-ში დაფარა და მე-4 ადგილით ნახევარფინალში გავიდა. აქ მან შედეგი (4.07.997) გააუმჯობესა და მთავარ ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, სადაც ქართველმა კანოისტმა ფინიშის საზღვრებში (4.01.093) გადაკვეთა და ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

პოლონურ პოზნანში ახალგაზრდა და 23-წლამდელ ნიგოზსანთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა კანოესა და კაიაკში (ბაიდარა). მედლებისთვის ბრძოლაში ოთხი ქართველი სპორტსმენი ჩაება. შესანიშნავად იასპარეზა ახალგაზრდებში 17 წლის რუსთაველმა ალექსანდრე ნიგოზსაძემ.

ასოფლიო ლიგა

ბალკანელთა გაკვეთილი

მონტენეგრო წყალბურთის სამყაროში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს, რადგან ყველა ტურნირში ფავორიტის სტატუსით მონაწილეობს და არც წარმატებები აკლია.



რებთან ღირსეული მეტოქეობის განევა დეიან სტანოვიევიჩის შეგირდებს კი არა, გაცილებით მაღალი დონის გრანდებს უჭირთ. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც სტუმართა აშკარა უპირატესობა განაპირობა, მოახლოებული ოლიმპიური თამაშების წინ კონდიციების პიკზე გასვლაა, ხოლო მას შემდეგ, რაც ბოიკოვიჩის ვარსკვლავურ ანსამბლს ტრავმამოშუშებული ლაზოვიჩი გააძლიერებს, რომელიც მტკივნა მაჯას იშუშებს და თბილისში არ ჩამოსულა, მასთან ტოლ-სწორად გამკლავება ურთულესი ამოცანა იქნება.


მონტენეგროსაც პირველ ტურში შესვენებამდე ტოლ-სწორად უმკლავდებოდა და საბოლოოდ მხოლოდ 6:10 წააგო.

მართალია, ამჯერადაც დავ მარცხდით - 9:13 (1:3, 2:5, 2:1, 3:3), მაგრამ აღსანიშნავია, რომ ოკეანისკენ მიმავალი მეთორმეტი ვარსკვლავი ვაგონით, რასაც მატჩის ოქმიც მონიშნავს.

სხვათა შორის, პირწმინდად დათმობილი გადამწყვეტი მეორე პერიოდის შემდეგ მასპინძლებმა თამაშში გარდატეხა მას შემდეგ შეიტანეს, რაც შეხვედრის განახლებისას ბურთი აუზში საქართველოს პრეზიდენტმა ჩააგდო, რომელიც ბრძოლას თვალს ამერიკის ელჩთან ერთად ადევნებდა და შუშიაშვილიმ-ნაიშვილის დუეტმა ზედიზედ ორი გოლით ანგარიშში სხვაობა 5:8-მდე შეამცირა, მაგრამ... დავძენთ, რომ სტუმართა ვარსკვლავები წამყვან ევროპულ კლუბებს ამშვენებენ, მაგალითად - ბენ მალოქი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის წლევედელი გათამაშების ტრიუმფატორ ნეაპოლის „პრო რეკოს“ (იტალია) ღირსებას იცავს.

ბუშინ: მეოთხედფინალი: საქართველო - საბერძნეთი 8:20.

უიგლდონი



ნაბო, მებრძო...

მართალია, „სკუადრა აძურამ“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური, მაგრამ, სამაგიეროდ, ფორუმი ნაადრევად „ნარინჯისფერთათვის“ დასრულდა, რაც, თუ ჩვენთან მათი მატჩების უარყოფითი სტატისტიკას გადავხედავთ - 3:3-5, მოულოდნელი სულაც არ გახლავთ. სიპლავის შეგირდთა გამართული ტაქტიკა მით უფრო დასაფასებელია, თუ საკადრო პრობლემებს გავითვალისწინებთ: გუნდის კაპიტანი დარიდტრავმა, ბორული - დისკვალიფიკაცია და იანკტო-ბრძოლაში მხოლოდ ბოლო წუთებზე ჩაერთო, როცა ყველაფერი გადამწყვეტი იყო.

დათვური სამსახური

იმ სამუშაოებზე, ვინც პლეი-ოფში ქულათა მაქსიმუმით გააღწია, ორმა - იტალიამ და ნიდერლანდებმა საბივე ჯგუფური შეხვედრა საკუთარ მინდორზე მოიგო, რამაც ამ გუნდებსა და მათ ქობაგებს საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა შეუქმნა.

მართალია, „სკუადრა აძურამ“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური, მაგრამ, სამაგიეროდ, ფორუმი ნაადრევად „ნარინჯისფერთათვის“ დასრულდა, რაც, თუ ჩვენთან მათი მატჩების უარყოფითი სტატისტიკას გადავხედავთ - 3:3-5, მოულოდნელი სულაც არ გახლავთ. სიპლავის შეგირდთა გამართული ტაქტიკა მით უფრო დასაფასებელია, თუ საკადრო პრობლემებს გავითვალისწინებთ: გუნდის კაპიტანი დარიდტრავმა, ბორული - დისკვალიფიკაცია და იანკტო-ბრძოლაში მხოლოდ ბოლო წუთებზე ჩაერთო, როცა ყველაფერი გადამწყვეტი იყო.

შეხვედრის საკვანძო მონაკვეთად მეორე ტაიმის სტარტი იქცა, როცა ჯერ მალენმა გაანიავა მეკარესთან პირისპირ გასვლა, რასაც ორიოდ წუთში მინდვრიდან დე ლისტის გაძევება მოჰყვა და სასჯელმაც არ დააყოვნა - მალევე შეხვედრის გმირ-



ევრო - 2020

მა პოლემმა ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, მანვე მე-80 წუთზე შედეგიანი გადაცემით შიკი მოძებნა, რომელმაც ევროზე მეოთხე ზუსტი დარტყმა შეასრულა და კვლავი ჩაუდგა 5 გოლის ავტორ კრიშტიანუ რონალდუს, ვინც ტიტულს უკვე გამოეთხოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ეს ამბავი ბელგიასთან მოხდა, რომელიც ზემოთ დასახელებული ტრიოდან ერთადერთია, რომელმაც სანჯის ეტაპზე უდანაკარგოდ ნეიტრალურ (ფინეთთან) და მეტოქეთა (რუსეთი, დანია) სტადიონებზე იასპარეზა, ან უკვე კონტინენტის ექს-ჩემპიონებთან კი ზღაპრული „ოქროს“ გასროლის ავტორი შესვენების წინ ტორგენ აზარი გახდა - 1:0.

3 ივლისს მიუნხენში ფინალის სადარი პლეიოფია: ბელგია - იტალია, ტრავმირებული დე ბრუნისა და ედენ აზარის თამაშს კი ექიმები გადაწყვეტენ. წინა დღეს - 2 ივლისს ბაქო დანიისა და ჩეხეთის მეოთხედფინალს უმასპინძლებს.

სათავგადასავლო ჟანრის სპექტაკლებში დაიბადა კიდევ ერთი საპლეიოფო წყვილი: ესპანეთი-შვეიცარია, რაშიც ამ გუნდების მერვედფინალური

მატჩების საოქმო მონაცემები დაგარწმუნებთ: ესპანეთი-სორვატეტი 5:3 (დამატებით დროში, ძირითადი დრო - 3:3), შვეიცარია-საფრანგეთი 5:4 (პენალტების სერიის, ძირითადი და დამატებითი დრო - 3:3), თანაც, ხორვატეებმა და შვეიცარიელებმა ძირითადი დროის ბოლოს 2-ბურთიანი ჩამორჩენა ამოქაჩეს.

64


ჩრეული ეპიულები და აპოსტანები



პაიკი ჭადრაკის სული და გულია მას სეთი ივე ფუნქცია აკისრია, როგორც რიგით ჯარისკაცს ბრძოლის ველზე.

პოლ მორუი (1837-1884)


მართალია პაიკი ვერ „გადაცალკავს“ მონინალმდევის მეფეს, მაგრამ მას შეუძლია სასიკვდილო დარტყმა მიაყენოს მეტოქის გვირგვინს. გთავაზობთ მსოფლიოს უგვირგვინო ჩემპიონის პოლ მორუის კონსტრუქციულად უბრალო, მაგრამ ელვებანტურ ორსვლიან ამოცანას.



მომხაბა

ენდშილი შუქურაა ზღვაში, რომელიც მოგზაურს აჩვენებს სწორ გზას!

თეორიული ენდშილის სათავეებთან ფილიპ სტამა



წარმოშობით არაბი მე-18-ე საუკუნის 20-იან წლებში ევროპაში გადამოვიდა. 1745 წელს ლონდონში გამოსცა ნიგნი „ჭადრაკი კეთილშობილი თამაშია“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთადერთი მხედრით შამათი არ კეთდება, მაგრამ როცა საკუთარი პაიკი „ეხმარება“ მეტოქეს, თურმე ამ შემთხვევაში შამათი გარდაუვალია.

ნელს ლონდონში გამოსცა ნიგნი „ჭადრაკი კეთილშობილი თამაშია“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთადერთი მხედრით შამათი არ კეთდება, მაგრამ როცა საკუთარი პაიკი „ეხმარება“ მეტოქეს, თურმე ამ შემთხვევაში შამათი გარდაუვალია.




მომხაბა

I 1. ეა6 ბა 2. B7 II 1. მბ3მუა2 2. მც5 მუა1 3. მუც2 მუა2 4. მ ძ3 მუა1 5. მც1 ა2 მბ3

შენიშვნა: გამოყენებულია დილოსტატის, ბ-ნ დ. გურგენიძის ნიგნი „ვისწავლოთ ენდშილი“ (თბილისი, 2001 წ.).

მოამზადა თამაზ შენგელიამ





### სახალხო მხატვრის არდავიწყება

გარდაიცვალა მეოცე საუკუნის 50-იანელ მხატვართა გამოჩენილი თაობის წარმომადგენელი, ლეგენდარული ქართველი მხატვარი

#### ზურაბ (პიპო) ნიჟარაძე,

რაც უდიდესი დანაკლისია ქართული კულტურისათვის. საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახალხო მხატვრის, ბატონი ზურაბის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

თაგაზ შილაკაძე

### მთელი ცხოვრება კაცურად, უღალატოდ...

თანამშრომლის სსოვნას



ძალიან გამიჭირდა ამ სტრიქონების დანერგა, თენგიზ რამდენჯერაც დავიწყე, 1959 წლის ივლისის ის ცხელი დღეები დამიხსენებდა თვალწინ, როცა მისაღებ გამოცდებს ვაბარებდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, პირველი შეხვედრები, ერთმანეთის თვალში გაზომვა და შეფასება, რაც უცვლელი დარჩა 62 წელი და მაშინდელი შეუბრუნებელი ყმაწვილები ბერიკაცობამდე ერთად მოგვიყვანა. იმიტომაც გამიჭირდა ამ ორიოდ წინადადების ჩამოქნა.

უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შეწყდა შენი შინაარსიანი ცხოვრება. ძალიან საინტერესო და დატვირთული ცხოვრებით იცხოვრე. პარტიული სამუშაოზე მოღვაწეობდი და მოწინავე და უღალატო იყავი, მერე სამეურნეო სფეროში მოგვიხიდა გადასვლა და იქაც კაცური სახელი დატოვე. სიმდიდრე და მოსახვეჭი არ გიძებნია, არასდროს გიღალატია საქმისთვის, მეგობრებისთვის, ოჯახისთვის. ამ ბოლო ათწლეულში, როცა ახლობლებთან, ნაცნობ-მეგობრებთან გამოთხოვება მოგვიხიდა, სინანულით იტყვიდი ხოლმე, ჩვენი ზარიც ჩამორეკილაო. ეს ისე, თორემ არასდროს დაგჩივლია, გარდაუვალს ვაუქაცურად ელოდი ვიშვილის გარეშე. წუნწუნი არ გიყვარდა არც შენი, არც სხვისი, იცოდი, რომ ზარი უკვე ჩამორეკილი იყო, მაგრამ მაინც იმედიანი და შემართული იყავი. მხოლოდ ერთი რამ არ გასვენებდა, ქვეყნის დღევანდელი და მომავალი. ამაზე ლეღავდი და პასუხს ეძებდი.

აი, ასეთი კაცი წახვედი ამ 40 დღის წინ და ყველას, ვინც კი გიცნობდა, გული უსაშველოდ დასწყვიტე, თენგიზ ტრაპაიძემ ამ ქვეყანაზე სახელიც კარგი დატოვა და ოჯახიცო: ღირსეული მეუღლე ღია ქვეთარაძე და ქალიშვილი ქეთინო განათლებული ფილოლოგი, უკეთილშობილესი ადამიანები... მშვიდობით, ძმაო!

თანაკურსელთა სახელით ალექს ახლანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

### სიალა (სინუკი) ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მუშაუმიშის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმში იაპონელი კალიგრაფისტი აკემი ლუკასის (კოშუ) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიმართა, რომელსაც იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში აკირა იმამურა დაესწრო. აკირა იმამურა ფიროსმანის მუზეუმში კახეთის მხარეში სამხარეო რწმუნებულთან ირაკლი შიოშვილთან, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან გიორგი გოგილაშვილთან ერთად იმყოფებოდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სტუმარი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იაპონური კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო სიგელით დაავიჯო. ელჩმა მირზაანში ახალგაზრდა მირზაანელი მხატვრის ბელა ლოზანიძის ნამუშევრებიც დაათვალიერა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სტუმრობამდე ელჩი და ხელისუფლების წარმომადგენლები სიღნაღში იმყოფებოდნენ, სადაც იაპონელი მხატვრისა და ფიროსმანოლოგის, ტაკეჰიდე შირაიას პერსონალური გამოფენა გაიმართა. ფიროსმანოლოგმა ტაკეჰიდე შირაიამ ხელოვნების მოყვარულებს ნიკო ფიროსმანის შესახებ იაპონურ ენაზე გამოცემული მისივე წიგნის და იაპონურად თარგმნილი ვაჟა-ფშაველას კრებული ილუსტრაციები წარუდგინა.

1978 წელს ტაკეჰიდე შირაია ჩართული იყო გიორგი შენგელიას ფილმის „ფიროსმანის“ იაპონურ პრემიერაში. 24 წლისა ისე მოიხიბლა ამ ფილმით და იმდენად დაინტერესდა მხატვრის ცხოვრებითა და შემოქმედებით, რომ მას შემდეგ ფიროსმანი არასოდეს გამქრალა მისი გონებიდან, მისი გულიდან და მისი შემოქმედებიდან. სამწუხაროდ, ტაკეჰიდე შირაიამ ვერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ მან

### იაპონური გამოფენა დედოფლისწყაროში



ქართველ მეგობრებს მაღლიერებით აღსავსე წერილი გამოუგზავნა: „ჩემი გამოფენის სათაურია „წმინდა ფიროსმანი“ და იგი გიორგი შენგელიას ეძღვნება. ჩემთვის მძიმე პერიოდებში ყოველთვის ვფიქრობდი და ვფიქრობ ვიროსმანზე. მუდამ ვეკითხები საკუთარ თავს, ხომ არ ვწინააღმდეგები ფიროსმანს? იმიტომ, რომ გიორგი შენგელიას ფილმში ნაჩვენებია ფიროსმანი ჩემი ღმერთია. ის მუდამ ჩემს გულშია და მე მას ვეთაყვანები. აქ გამოფენილი ნამუშევრები ჩემი გულიდანაა ამოსული. ისინი შავ ფერზეა დაფუძნებული, ფიროსმანისეული ტილოების შავ ფერზე. ფიროსმანის შემოქმედებამ მაგრძნობინა, რომ შავი ძალიან მდიდარი და ძალიან კეთილშობილი ფერი შეიძლება იყოს. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვასწარი და ჩემი ეს ნამუშევრები ვერ ვაჩვენებ ბატონ გიორგის, რომელიც მშობელ მამასავით მყავდა საქართველოში. დასანანია, რომ პანდემიის გამო ვერ ჩამოვედი, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლისთვის სასიამოვნო იქნება იმაში დარწმუნება, რომ შორეულ იაპონიაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიროსმანით და საქართველოთი არიან აღტაცებული“.

უმში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს კიდევ ერთი მეგობარი, ქართველოლოგი იასუსუმირო ჯოჯიმა. სწორედ მან თარგმნა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, რითაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული იაპონური კულტურული ურთიერთობების განმტკიცებაში. გამოფენის მთავარი იდეაც სწორედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთკავშირის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება და ქართულ-იაპონური კულტურის ერთმანეთისთვის გაზიარება იყო. გამოფენა სიღნაღის მუზეუმში ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება, ხოლო მირზაანში აკემი ლუკასის შემოქმედების დათვალიერების საშუალება მსურველებს 18 ივლისამდე შეეძლება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ილია მარტყოფლიშვილის ინფორმაციით მირზაანში ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია იგეგმება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის ინიციატივით „რეგიონების განვითარების“ პროექტის ფარგლებში ფიროსმანის მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი და ეზო კეთილმოეწყობა.

ნანა შიშინაძე

### პოლიპუდის ფილემბისტის კაპილიონი აუენდება!

კინონდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტზე, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი კინონდუსტრიის განვითარების ხელშეწყობასა და უცხოური კინონარმოების მოზიდვაზე. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს. როგორც უწყებაში განმარტავენ, ცვლილებით მოხდება კინონდუსტრიის ხელშეწყობის პროგრამის ახალი ეტაპის გამოცხადება განახლებული

დიზაინითა და პირობებით, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივი კინონდუსტრიის ბაზრის ზრდაზე, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით, განახლებული პირობებით პროექტების მიღება უახლოეს პერიოდში გამოცხადდება.



საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სახელმწიფო პროგრამაში „ანარმოდ საქართველოში“ ცვლილება შედის. საუბარია

### მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავე

შინაბან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1984 წელს დაბადებული შ.გ. გორში დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, მას ბრალი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში ედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დანაშაული ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 3 ივნისს, ქალაქ გორში, 1979 წელს დაბადებული ზრ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

### ყოველგვარი რეკლამა გაზეთს პერიოდით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB76015360-2010009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



### თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა. მინისტრი თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა.

ბას მოცემულ ტერიტორიაზე, რაც მიმდინარე წლის 21 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ ცალსახად დაადასტურა.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო თბილისში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, რომელიც იუნესკოს პატრონაჟით ხორციელდება.

### ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო სპორტსმენებს უნდა გამოიჩინოს

კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე საფრანგეთში, შატო ტიერიში ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ დირექტორს, ჟაკ კრამბალის შეხვდა.



შეხვედრაზე 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ჩართულობის საკითხზე იმსჯელეს, ასევე ოლიმპიური თამაშების დროს კულტურული ღონისძიებების გამართვა დაგეგმეს, რაც საქართველოს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენს.

„შეხვედრაზე განვიხილეთ საქართველოს ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეაში სრულფუნქციონირების მიზნების განხორციელების საკითხი, რომელიც 2022 წელს დასრულდება“, - განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.



### 9 წლის წინათ დაკარგული ნახატები იპოვეს

საბარძნეთის პოლიციამ 2012 წელს ნაციონალური გალერეიდან დაკარგული პაბლო პიკასოსა და პიტ მონდრიანის ნახატები იპოვა.

49 წლის ბერძენი კაცი, რომელიც ქვეყნიდან ნახატების გატანას ცდილობდა. მისი მიზანი იყო „შავ ბაზარზე“ ნახატების გაყიდვა.

პიკასოს ნახატი „ქალის თავი“ და მონდრიანის „ქარის ნისქვილი“ ნაციონალური გალერეიდან მის კაპიტალურ რემონტზე დახურვამდე ერთი დღით ადრე 2012 წლის იანვარში მოიპარეს.

### წყალდიდობა მოსკოვში

მოსკოვში გადაუღებელი წვიმების შედეგად რამდენიმე ქუჩა და მეტროს სადგური დაიტბორა. ძლიერი ქარის შედეგად რამდენიმე ხე და სარეკლამო აბრა წაიქცა.



### რუსულან შარაქა: გავიხსენებ და დუქორეულმა მაკა ჩიჩუა



საკადემიკოს გურამ შარაქის შვილმა რუსულან შარაქამ სოციალურ ქსელში ასეთი პოსტი გამოაქვეყნა:

„ყოფილ პირველ ლედის ვუყურე, ქალბატონ მაკა ჩიჩუას. გავიხსენებ და დუქორეულმა სულ ბნელე-ბნელე გვეძახა, ვინც პრაიდის ჩატარებას არ ვგულშემატკივრობთ. ერთი მომენტი, მეგონა, პერსინგი აქვს ტურზე-მეთქი, მაგრამ მერე რომ აღარ ჰქონდა, მივხვდი, რომ ქალი საშველია (ჩვენს სიბნელეს რა ვუთხარი...)“.

მოკლედ, სულ გვაძახა და გვაძახა, ზანგებს ავტობუსში ასვლა არ შეეძლო, ქალბატონ ვეროპაში ახლახან მოიპოვეს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაო. როგორ გინდა შეენიანაღმდეგო, მაგრამ არის ერთი „მაგრამ“ - ქალბატონი პირველი ლედი ამ ყველაფერში ჩვენ - ქართველებს გვაძანაშაულებს.

სინამდვილეში, 1960-იანი წლები, როდესაც აშშ-ში, მართლაც აკრძალული ჰქონდათ ფერადკანიანებს თეთრკანიანებთან ერთად ავტობუსით მგზავრობა, მისგან დიდად შორს არ უნდა იყოს და იქნებ, კარგადაც ახსოვდეს, რომ მსგავსი საქართველოში ვერ მოხდებოდა. უბრალოდ, ჩვენდაუნებურად, ზანგები არ გვყავდა და მილიონში ერთი თუ გამოერეოდა, როგორც მუზეუმის ექსპონატს, ისე შევცქეროდით - მონივნებით, ხოლო „ბიძია თომას ქოხზე“ გაზრდილ თაობას ახლაც ცხარე ცრემლით გვეტირება. რაც შეეხება ქალებს, რავი, მგონი, სიბნელეზე მეტად, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის მუდღელს წარმოადგენა არა აქვს, რომ 1919 წელს, ქართველ ქალებს ევროპაში თითქმის პირველებს მოგვეცა ხმის მიცემის უფლება.

წუ, აღარაფერს ვიტყვი, რომ ქალბატონი მაკასთვის განსხვავებული ორიენტაცია და დიდი ცხვირი ერთიდაიგივე ყოფილა.

თუმცა, ერთი რამ მაინც არის დასაფასებელი - ის გულწრფელია და მართლა სჯერა, რომ მსოფლიო მოვლენები, როგორცაა რასიზმი და ქალების დისკრიმინაცია, არის სიბნელე და ეს ჩვენი - ქართველების ბრალია. წესით და რიგით, ვის ვის და მის მუდღელს, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს კი უნდა ესმოდეს საქმის ვითარება და იქნებ, აუხსნას, რომ ეს პრაიდი „განსხვავებულების“ ე.ი. „დიდიცხვირების“ უფლებების დაცვისთვის კი არ ტარდება, არამედ დაფინანსებულია უცხოეთიდან და მიმართულია ქართული ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ. არც ის იქნება ურიტო, რომ გააგებინოს - ქალბატონი მაკა ყველას პირველი ლედი - ბნელებისაც და ნათელმოსილებისაც და უბრალოდ, სირცხვილია!“

### ალამიანის აქამდე უსწოები სხეობა

ჩინაში მეცნიერებმა 88 წლის წინ აღმოჩენილი თავის ქალა გამოკვლეეს და დაადგინეს, რომ ის ადამიანის აქამდე უცნობ სახეობას ეკუთვნის. თავის ქალა 1933 წელს, ხარბინში ხიდის მშენებელმა იპოვა. მაშინ ქალაქი იაპონური ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა.

კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ თავის ქალა აღმოსავლეთ აზიაში სულ მცირე 146 ათასი წლის წინ მცხოვრებ 50 წლის კაცს ეკუთვნის. ახალ სახეობას Homo longi („ადამიანი-დრაკონი“) დაარქვეს. ევოლუციური თვალსაზრისით, ის თანამედროვე ადამიანის უახლოესი ნათესავია. ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ და Homo longi უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული 2 Homo sapiens-თან ვიდრე ნეანდერტალელებთან.

„აღმოჩენა კაცობრიობის ცალკეულ შტოს წარმოადგენს, რომელიც რეგიონში რამდენიმე ასეული ათასი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და ბოლოს გადაშენდა. ბოლო მილიონი წლის განმავლობაში ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამარხინეშტია“, - განაცხადა ლონდონის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმის პროფესორმა კრის სტრინგერმა.

### ჩეჩენური სისხე გამოვლინდა კანადასა და აშშ-ში

კანადაში ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა გამოვლინდა. ქვეყნის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ცხელი ჰაერის ტალღის ქვეშ მოექცა, აღნიშნულმა ტალღამ ამერიკის შეერთებული შტატებიც მოიცვა.

სპეციალისტების თქმით, ტემპერატურამ კვირა დღეს 46,6 გრადუსს მიაღწია და ამით 84 წლიანი რეკორდი მოხსნა. „ცხელი გუმბათი“ - სიცხური ტალღის ვარიანტი, რომელიც ისე მოქმედებს, როგორც ქვაბის თავსახური.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ქვეყანაში სიცხის მაჩვენებელმა 40 გრადუსს გადააჭარბა და მოეწყო სპეციალური გამაგრილებელი სივრცეები, სადაც ძირითადად უსახლკაროები ემალებიან ზაფხულის ცხელ ამინდებს.

საქართველოს რესპუბლიკა  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 ვაშა ფშაველას №48  
 ტელ: 239-03-43

---

მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
 გურამ გომიაშვილი  
 599 53-76-16;  
 ალექს  
 ასლანიშვილი  
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
 მამუკა ვაშაქიაძე  
 514 33-33-24

---

გამომცემლობა:  
 შპს „ახალი საუკუნე -  
 გაზეთ „საქართველოს  
 რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „თანამშრომელ-გაზეთ  
 „საქართველოს რესპუბლიკის“  
 გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა  
 „კოლორი“  
 ე. ბაღდავაძის №3

**კოდონი**  
 ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)  
 ს-323

2 009882 616932

---

ავტორთა სახურადადგოდა!  
 რედაქციის მიერ  
 შუამავთარი მასალაზე  
 დანიშნულია  
 ავტორთა ხარჯით.  
 ავტორთა მოსაზრებები,  
 შინაარსი, გუდაამ  
 არ ემთხვევათ  
 რედაქციის პოზიციას.  
 ფაქტების  
 სიუხვითა და პასუხს  
 ავტორთა.

**გაზეთის მომწოდებელი**  
**ნოვარი**  
**გამოვა**  
**პარასკევს,**  
**2 ივლისს**

სრ	<b>უსტოური ვაჭარის ქარსი:</b> აუზ ფონი - 3.1579; პირი - 3.7690; ბრეტანული პირაპირა სტარტინგი - 4.3911; 100 გრამი - 4.3743; თერაპიული ლინა - 0.3612; ანტიბიოტიკული მანტი - 1.8603; 1000 სოფელი ღრამი - 6.3221.	<b>აქტიური 30 ივნისისთვის</b> აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ღამე +17, ღვი +35 მთიანი რაიონები - ღამე +11, ღვი +31 დასავლეთი საქართველო: ბარა - ღამე +17, ღვი +30 მთიანი რაიონები - ღამე +15, ღვი +28 თბილისი: ღამე +21, ღვი +34	<b>დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:</b> ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
----	--	---	--